სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი **2021 წლის 26 თებერვალი**

ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული პანდემიის გამო წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ფორმატთან დაკავშირებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დისტანციურად, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების თაობაზე.

შესაბამისად, თსუ სენატის სამდივნოს მიერ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს ელ. მისამართებზე დაეგზავნათ წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის დღის წესრიგი, შესაბამისი მასალებით და ეთხოვათ, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, დისტანციურად დააფიქსირებინათ პოზიცია, უჭერდნენ თუ არა მხარს წარმოდგენილ საკითხებს.

დისტანციური სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა (მომხსენებელი: გიორგი ჩაკვეტაძე)
2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრისათვის უფლებამოსილების ცნობა (მომხსენებელი: გიორგი ჩაკვეტაძე)
3. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის დებულების დამტკიცება (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)

4.სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)

5.სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დებულებაში ცვლილების დამტკიცება (მომხსენებელი არჩილ კუკულავა)

6.სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიის დებულებაში ცვლილების დამტკიცება (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)

7. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების დამტკიცება (მომხსენებელი: გიორგი ღაღანიძე)

8. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის ანგარიშის წარდგენა (მომხსენებელი: მზექალა აჭაიძე)

9. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 9 თებერვლის №16/2021 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებლები: გიორგი ღაღანიძე, დიმიტრი კორძაია)

10. ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 9 თებერვლის №17/2021 დადგენილების დამტკიცება (გიორგი ღაღანიძე, დიმიტრი კორძაია)

11.სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების დამტკიცება (მომხსენებელი: თამარ დოლბაია)

თსუ სენატის სამდივნოში, ელ. ფოსტის მეშვეობით, თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს წარმომადგენლობითი საბჭოს შემდეგმა 41 წევრმა:

1. ვლადიმერ მარგველაშვილი 2. ლალი ახალბედაშვილი 3. მანანა ნიკოლაიშვილი 4. ნინო ჭალაგანიძე 5. ზურაბ გაიპარაშვილი 6. ბეჟან თუთბერიძე 7. ლია მაჭავარიანი 8. ილია თავხელიძე 9. ნაზირა კაკულია 10. ლევან საბაური 11. ეკა ვარდოშვილი 12. ქეთევან ცანავა 13. ირინე ჟვანია 14. ომარ მუკბანიანი 15. ადა ნემსაძე 16. არჩილ ჯავახიშვილი 17. თემურ ცქიტიშვილი 18. მანანა რუსეიშვილი 19. შოთა კეჟერაშვილი 20.

მარინე ხუციშვილი 21. ნათელა არჩვაძე 22. გიორგი გოგსაძე 23. გვანცა გვანცელაძე 24. კობა ყალიჩავა 25. მარინე გარიშვილი 26. ელისაბედ ბჟალავა 27. ელენე ბებერაშვილი 28. ეთერ კაკულია 29. ირაკლი ონიანი 30. დინა ხუციშვილი 31. ნინო აბესაძე 32. მიხეილ რუხაია 33. მერაბ ხოხობაია 34. ციური სუმბაძე 35. ნოდარ ლომიძე 36. თამარ ბერიძე 37. აპოლონ თაბუაშვილი 38. თამარ პაიჭაძე (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ) 39. თინა ქიტუაშვილი 40. ნინო ჩახუნაშვილი 41. სოფიო ხუციშვილი (დანართი 1)

იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დღის წესრიგით გათვალისწინებული რიგი საკითხების განხილვაში მონაწილეობს ასევე აკადემიური საბჭო, მასალები რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს მიერ გადაგზავნილი იქნა თსუ აკადემიური საბჭოს წევრებთან გასაცნობად (დანართი 2).

თსუ პერსონალის მართვის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს, ბატონებს გიორგი ოთხმეზურსა და ირაკლი ღარიბაშვილს შეუწყდათ შრომითი ურთიერთობა, გარდაცვალებასთან დაკავშირებით. კანონმდებლობიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა მათთვის სენატის წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გიორგის ოთხმეზურის ადგილმონაცვლის - თამარ პაიჭაძის უფლებამოსილების ცნობის საკითხი.

დისტანციური დღის წერიგის მე-7 საკითხთან დაკავშირებით (სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების დამტკიცება) თავისი პოზიცია დააფიქსირა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, თსუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, ბატონმა ზურაბ გაიპარაშვილმა და აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში ფორმულირება „სამეცნიერო ბიბლიოთეკა“ შეუსაბამობაშია თსუ ბიბლიოთეკის დებულებაში (რომელიც დამტკიცებულია სენატის მიერ) ამ ფაკულტეტის ბიბლიოთეკის სახელწოდების ფორმულირებას. აღნიშნა, რომ დებულებაში სწორადაა მითითებული, რომ ფაკულტეტის ბიბლიოთეკა თსუ ბიბლიოთეკის ნაწილია და ფაკულტეტის დებულებაში მექანიკური შეცდომა უნდა გასწორდეს (ამოსაღებია სიტყვა „სამეცნიერო“). ფაკულტეტის დეკანმა და საკითხის მომხსენებელმა, ბატონმა გიორგი ღაღანიძემ გამოხატა მზადყოფნა ამ კუთხით.

შესაბამისად, მიღებულად ჩაითვალა შემდეგი გადაწყვეტილებები:

1.შეუწყდეთ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსი გიორგი ოთხმეზურსა და ირაკლი ღარიბაშვილს (დანართი 3)

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

2. ცნობილ იქნეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლის თამარ პაიჭაძის უფლებამოსილება.

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

3. დამტკიცდეს სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის დებულება წარმოდგენილი სახით (დანართი 4)

მომხრე: 41

წინააღმდეგი: 0

4. დამტკიცდეს სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის დებულებაში ცვლილებები წარმოდგენილი სახით (დანართი 5)

მომხრე: 41

წინააღმდეგი: 0

5. დამტკიცდეს სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დებულებაში ცვლილება წარმოდგენილი სახით (დანართი 6)

მომხრე: 41

წინააღმდეგი: 0

6. დამტკიცდეს სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიის დებულებაში ცვლილება წარმოდგენილი სახით (დანართი 7)

მომხრე: 41

წინააღმდეგი: 0

7. დამტკიცდეს სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულება წარმოდგენილი სახით (დანართი 8)

მომხრე: 41

წინააღმდეგი: 0

8. ცნობად იქნას მიღებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის ანგარიში (დანართი 9)

მომხრე: 41

წინააღმდეგი: 0

9. დამტკიცდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 9 თებერვლის №16/2021 დადგენილება (დანართი 10)

მომხრე: 41

წინააღმდეგი: 0

10. დამტკიცდეს ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 9 თებერვლის №17/2021 დადგენილება (დანართი 11)

მომხრე: 41

წინააღმდეგი: 0

11. დამტკიცდეს სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილება წარმოდგენილი სახით (დანართი 12)

მომხრე: 41

წინააღმდეგი: 0

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი - ვლადიმერ მარგველაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი - გიორგი ჩაკვეტაძე

2021 წლის 26 თებერვლის დისტანციური სხდომის ფორმატში (ელ.ფოსტის გამოყენებით) მონაწილე წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

აბესაძე ნინო -

კაკულია ნაზირა -

საბაური ლევანი

ხოხობაია მერაბი -

სტუდენტები:

ბერაძე თამარი -

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

არჩვაძე ნათელა -

თუთბერიძე ბეჟანი -

მაჭავარიანი ლია -

მუკბანიანი ომარი -

თავხელიძე ილია -

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

ყალიჩავა კობა -

გარიშვილი მარინა -

სტუდენტები:

ჯავახიშვილი არჩილი -

ონიანი ირაკლი -

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

მარგველაშვილი ვლადიმერი -

ქიტუაშვილი თინა -

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

გოგსაძე გიორგი -

ჭალაგანიძე ნინო -

სტუდენტები:

ბებერაშვილი ელენე -

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ჟვანია ირინე -

ჩახუნაშვილი ნინო -

სტუდენტი:

ცანავა ქეთევანი -

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ვარდოშვილი ეკა -

ბჟალავა ელისაბედი -

რუსეიშვილი მანანა -

თაბუაშვილი აპოლონი -

პაიჭაძე თამარი (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ)

სტუდენტები

კეჟერაშვილი შოთა -

ხუციშვილი დინა -

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

გაიპარაშვილი ზურაბი -

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

ცქიტიშვილი თემური -

ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი

ახალბედაშვილი ლალი -

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

ხუციშვილი მარინე -

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნემსაძე ადა -

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

რუხაია მიხეილი -

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

ხუციშვილი სოფიო -

მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ლომიძე ნოდარი -

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

კაკულია ეთერი -

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

სუმბაძე ციური -

მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტი

ნიკოლაიშვილი მანანა -

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერე ბის ინსტიტუტი

გვანცელაძე გვანცა -

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს იმ წევრთა სია, რომელთაც დისტანციურად (ელ. საშუალების გამოყენებით) დაადასტურეს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად გათვალისწინებული საკითხების გაცნობის ფაქტი

წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი (26.02.2021 წ. #1)

1. ავაზაშვილი ნიკოლოზ
2. ამირანაშვილი ავთანდილ
3. ანანიაშვილი ნათელა
4. გაგნიძე ნონა
5. გოცირიძე დავით
6. ზაუტაშვილი მარინე
7. იმნაძე პაატა
8. კვინიკაძე მურმან
9. კოპალეიშვილი მაია
10. კუხიანიძე ალექსანდრე
11. ლობჟანიძე გია
12. ლომიძე გაგა
13. მაღრაძე ვახტანგ
14. მესტვირიშვილი მაია
15. მექვაბიშვილი ელგუჯა
16. მინდაძე ნინო
17. სანაძე რუსუდან
18. სილაგაძე ავთანდილ
19. ფერაძე გოჩა
20. ფურთუხია ომარ
21. ქურდაძე ირინე
22. ქურდაძე რამაზი
23. ღვედაშვილი გიორგი
24. ღონღაძე ალექსანდრე
25. შავლაყაძე ნუგზარ
26. შანიძე რევაზ

27. შენგელია თემურ
28. ცისკარიძე ალექსანდრე
29. წერეთელი მზია
30. წერეთელი მზია
31. ხარშილაძე ირმა
32. ხაჩიძე მანანა
33. ხუსკივაძე მამუკა
34. ხუციშვილი ქეთევან

N 774/10 28/01/2021

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
სამდივნოს უფროსს ბ-ნ გიორგი ჩაკვეტაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2021 წლის 22 იანვრიდან, გარდაცვალების გამო, შრომითი ურთიერთობა შეუწყდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორს გიორგი ოთხმეზურს (ბრძ. N29/02-03; 27.01.2021).

გთხოვთ გაითვალისწინოთ.

პატივისცემით,

ნათელა ლაცაბიძე

დეპარტამენტის უფროსი
პერსონალის მართვის დეპარტამენტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება

N 34/02-03
28/01/2021

34-02-03-4-202101281549

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორ ირაკლი ღარიბაშვილთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის" 47-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,მ" ქვეპუნქტის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ", ,,ნ" და ,,პ" ქვეპუნქტებისა და პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსის ნ. ლაცაბიძის 2021 წლის 27 იანვრის N679/10 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეუწყდეს შრომითი ურთიერთობა 2021 წლის 21 იანვრიდან სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორს ირაკლი ღარიბაშვილს გარდაცვალების გამო.
2. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საფინანსო დეპარტამენტი, პერსონალის მართვის დეპარტამენტი, შიდა აუდიტის სამსახური და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა).
3. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

პროექტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი") საფინანსო დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს.

2. დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

3. დეპარტამენტი თავისი კომპენტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე, ასრულებს კანონით გათვალისწინებულ, რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. დეპარტამენტის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. დეპარტამენტის ძირითადი საქმიანობის სფეროა ფინანსური რესურსების ეფექტური მართვის საფუძველზე უნივერისტეტის სტუდენტებს და პერსონალს შეუქმნას სწავლის, შრომისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ნორმალური პირობები, აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება.

2. დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) საკუთარი კომპენტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტის შედგენა და ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგი;

ბ) უნივერსიტეტის სისტემაში ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

გ) სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ორგანიზება და შესყიდვების გეგმების შესრულების მონიტორინგი;

დ) ძირითადი აქტივების, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების და ძირითადი კაპიტალდაბანდებების აღრიცხვის უზრუნველყოფა;

ე) საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით ქონებისა და საფინანსო ვალდებულებათა ინვენტარიზაციის პროცესში მონაწილეობის მიღება.

3. დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია:

ა) საბიუჯეტო პროცესის რეგულირება, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, დამტკიცებისა და შესრულებაზე მონიტორინგს;

ბ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტის

შემუშავება და წარდგენა ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის, შემდგომში აკადემიურ საბჭოზე განსახილველად და წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად წარდგენის მიზნით.

გ) საბიუჯეტო მაჩვენებლების შესრულების სისტემატური ზედამხედველობა;

დ) ბუღალტრული აღიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზაების პროცესის კოორდინაცია;

ე) ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა;

ვ) აღრიცხვა-ანგარიშგების მონიტორინგი;

ზ) საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით ბიუჯეტთან ანგარისწორება;

თ) საკუთარი კომპენტენციის ფარგლებში, უნივერსიტეტის სახელით დასადები ხელშეკრულებების პროექტების მომზადება; ხელშეკრულებების შესრულების მიმდინარეობის ამსახველი პერიოდული დოკუმენტაციის წარმოება.

მუხლი 3. დეპარტამენტის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა.

1. დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი.

2. დეპარტამენტის უფროსს უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინსტრაციის ხელმძღვანელი.

3. დეპარტამენტის უფროსის მიერ თავის მოვალეობათა შესრულების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა) მის მოვალეობას ასრულებს დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

4. დეპარტამენტის უფროსი:

ა)ხელმძღვანელობს და წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას;

ბ) დეპარტამენტის უფლებამოსილების ფარგლებში ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტის შედგენას;

გ) სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით ორგანიზებას უწევს შესაბამისი სამუშაოების ჩატარებას;

დ) აანალიზებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილის შესრულებას და ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების მდგომარეობას;

ე) გეგმავს დეპარტამენტის მუშაობას, უზრუნველყოფს შრომის აუცილებელი პირობების შექმნას, იღებს ზომებს თანამშრომელთა პროფესიული მომზადების დონის ასამაღლებლად;

ვ) ანაწილებს მოვალეობებს დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

ზ) უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას განსახილველად წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის სტრუქტურის, შტატების, დეპარტამენტის პერსონალთან შრომითი

ურთიერთობის შეწყვეტის, წახალისების და დისციპლინალური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

თ) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად იღებს ზომებს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესრულების უზრუნველსაყოფად;

ი) იხილავს და ხელს აწერს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებულ სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას;

კ) უზრუნველყოფს დეპარტამენტის საქმიანობაში კანონიერებისა და კონფიდენციალურობის დაცვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

ლ) დადგენილი წესის მიხედვით იხილავს კორესპონდენციას და თავისი კომპენტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს, ხელს აწერს ინფორმაციული ხასიათის წერილებს საკითხებზე, რომლებიც წარმოადგენენ დეპარტამენტის საქმიანობის საგანს;

მ) ზედამხედველობს დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;

ნ) ადგენს დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ შვებულებების გამოყენების რიგითობას;

ო) ახორციელებს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ მომსახურების სისტემაში ანგარისწორების დადასტურებას.

პ) ახორციელებს ამ დებულებით და უნივერსიტეტის სამართლებლივი აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და დავალებებს თავისი კომპენტენციის ფარგლებში.

5. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:

ა) კორდინაციას უწევს საფინანსო დეპარტამენტის განყოფილებების საქმიანობას;

ბ) ზედამხედველობას უწევს საკურატორო განყოფილების საქმიანობას მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამუშავებს უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტს დაფინანსების წყაროების მიხედვით და უზრუნველყოფს საბიუჯეტო პროცესის ფორმირებას;

დ) უზრუნველყოფს საბიუჯეტო განაცხადის დამუშავებას და წარდგენას დაფინანსების წყაროების მიხედვით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში;

ე) უზრუნველყოფს გეგმის ცვლილებების წარდგენას დაფინანსების წყაროების მიხედვით ფინანსთა სამინისტროში;

ვ) მონაწილეობს პროგრამულ აკრედიტაციასთან დაკავშირებული თითოეული პროგრამის მიხედვით ბიუჯეტის შემუშავების პროცესში და წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;

ზ) აანალიზებს საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობას და წინადადებებს წარუდგენს დეპარტამენტის უფროსს საქმიანობის ეფექტურობის მიზნით;

თ) ხელს უწყობს დეპარტამენტის უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების

განხორციელების დაგეგმვა -კოორდინაციასა და ორგანიზაციაში;

ი) მონაწილეობს დეპარტამენტში შემოსული მასალების განაწილებაში;

კ) ახორციელებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის სამსახურებრივი საკითხების შესახებ კონსულტაციის გაწევას;

ლ) ახორციელებს უნივერსიტეტის მულტირანჟირების, სხვადასხვა რანჟირების სისტემაში, მონაწილეობის მისაღებად, დაკავშირებული მონაცემების დამუშავებას, შესაბამისი ფორმების შევსებას და გაგზავნას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისათვის;

მ) მუშაობს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში;

ნ) უზრუნველყოფს დაფინანსების წყაროების მიხედვით, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სიტემიდან მონაცემთა ინფორმაციულ დამუშავებას, აღრიცხვას და სისტემატიზაციას;

ო) დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, რექტორის, დეპარტამენტის უფროსის დავალებებს.

6. დეპარტამენტი შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან:

ა) საგეგმო -საფინანსო განყოფილება;

ბ) აღრიცხვა-ანგარიშგებისა განყოფილება;

გ) შესყიდვების განყოფილება.

7. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით დეპარტამენტისათვის განსაზღვრული თანამდებობებია: დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი, განყოფილების უფროსის მოადგილე, მთავარი სპეციალისტი I კატეგორია, წამყვანი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი. დეპარტამენტში საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია მოწვეულ იქნას ექსპერტი, კონსულტატი, მთავარი სპეციალისტი I კატეგორია, მთავარი სპეციალისტი II კატეგორია, წამყვანი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, სპეციალისტი. ასევე დეპარტამენტის თანამშრომელთაგან (ჯგუფის ხელმძღვანელისა და წევრების სტატუსით) შესაძლებელია შეიქმნას სპეციალიზებული სამუშაო ჯგუფები, რომელთა კომპეტენცია განისაზღვრება დეპარტამენტის კონკრეტული მიმართულების საქმიანობის გაღმავებისა ან საქმიანობაში გაუთვალისწინებელი შესაბამისი პროფილური ფუნქციების განხორციელებით. სამუშაო ჯგუფების წევრებს სპეციალიზებული ფუნქციის შესრულებისათვის შესაძლებელია განესაზღვროთ შესაბამისი შრომის ანაზღაურება. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული პერსონალის ფუნქციები და უფლება-მოსვალეობები განისაზღვრება ამ დებულებით, შესაბამისი თანამდებობების სამუშაო აღწერილობებითა და შრომითი ხელშკრულებებით.

8. საგეგმო-საფინანსო განყოფილების ძირითადი მოვალეობები და ფუნქციებია:

ა) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტის შედგენის, კორექტირების, შესრულების უზრუნველყოფა და მასზე მონიტორინგის განხორციელება;

ბ) ფაკულტეტებიდან და სხვა სტრუქტურული ერთეულებებიდან მიღებული მასალების საფუძველზე უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტში გასათვალისწინებელი ხარჯების დამუშავება;

გ) საგეგმო-საფინანსო სფეროში არსებული ფისკალური და სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი;

დ) დამტკიცებული საბიუჯეტო მაჩვენებლების შესრულების კვარტალური ანალიზი;

ე) ეროვნული და უცხოური გრანტების ხარჯთაღრიცხვების და ანგარიშგების მონიტორინგი;

ვ) ანგარიშის მომზადება წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

ზ) ეროვნული გრანტების, ასევე სტუდენტთა კულტურული და სამეცნიერო პროექტების მოსაპოვებლად საკონკურსოდ წარსადგენ პროექტების ბიუჯეტების შედგენაზე კონსულტაციების გაწევა და დასკვნების მომზადება;

თ) კვარტალური და წლიური სტატისტიკური ანგარიშგების მომზადება და მათი დროულად წარდგენა შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებაში/ ორგანიზაციაში;

ი) განყოფილების კომპენტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებული კორესპოდენციის განხილვა და მათზე შესაბამისი რეაგირება;

კ) თავისი კომპენტენციის ფარგლებში სხვადასხვა სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

ლ) ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების ხარჯთაღრიცხვებით, პერიოდების მიხედვით გათვალისწინებული ფინანსური დოკუმენტების მომზადება-შეკრება- დამუშავება, ფინანსური ანგარიშის შედგენა და ფონდში წარდგენა;

9. აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების ძირითადი მოვალეობები და ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტის ფულადი სახსრების დროული, შეუფერხებელი მოძრაობის, აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების უზრუნველყოფა და მათზე მონიტორინგის განხორციელება;

ბ) კონტროლი მომუშავეთა შრომის ანაზღაურების, სტიპენდიების და სხვა გასაცემლების დროულ დარიცხვაზე და ანგარისწორებების განხორციელება;

გ) სამივლინებო თანხების გაცემა და მოთხოვნების დახურვა; სალაროს ოპერაციების განხორციელება და აღრიცხვა. სალაროს მოულოდნელი ინვენტარიზაცია და ინვენტარიზაციის შედეგების შედარება სააღრიცხვო მონაცემებთან;

დ) სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში მუშაობა;

ე) სასაწყობო მეურნეობის სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა. მასალების ჩამოწერა და ხარჯად აღიარება. საწყობის ინვენტარიზაცია და ფაქტიური მონაცემების შედარება სააღრიცხვო მონაცემებთან;

ვ) დებიტორ/კრედიტორების სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა, ინვენტარიზაცია და არსებული ნაშთების დადასტურება დებიტორებთან და კრედიტორებთან გაფორმებული შედარების აქტებით;

ზ) შემოსავლების სამსახურში წლიური ანგარიშის მომზადება და წარდგენა;

თ) საკასო და ფაქტიური შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა;

ი) ყოველთვიური მემორიალური ორდერების კონტროლი, შემოწმება და მთავრი წიგნის წარმოება;

კ) მემორიალური ორდერების საფუძველზე წლიური ანგარიშგების (ბალანსის)შედგენა და მათი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარდგენა;

ლ) სტუდენტების ფინანსური ბაზის კონტროლი წლიური ეკონომიკური შემოსავლებისა და ხარჯების გაანგარიშების დეკლარაციის შედგენა და წარდგენა საგადასახადო ინსპექციაში

10. შესყიდვების განყოფილების ძირითადი მოვალეობები და ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტის შესყიდვების პროცესების დაგეგმვა, კოორდინირება და მონიტორინგი;

დაფინანსების წყაროების მიხედვით სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის მომზადება და შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენი ვადებში წარდგენა შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებაში /ორგანიზაციაში;

ბ) შესყიდვების წინამოსამზადებელი სამუშაოების უზრუნველყოფა, ბაზრის კვლევის ჩატარება, შესყიდვების ობიექტების ერთგვაროვნებისა და მონეტარული ზღვრების დადგენა, შესყიდვის მეთოდის შერჩევა;

გ) ელექტრონული ტენდერით და გამარტივებული შესყიდვით განსახორციელებელი ხელშეკრულებების მომზადება;

დ) სატენდერო და გამარტივებული შესყიდვის პროცედურების მომზადების უზრუნველყოფა;

ე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაციის წარდგენა შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებაში/ორგანიზაციაში შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში;

ვ) მოქმედი კანონმდებლობითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დაცვით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტის მომზადების უზრუნველყოფა;

ზ) განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე ზედამხედველობის განხორციელება;

თ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან და სხვა ზემდგომ უწყებებთან საქმიან მიმოწერა;

ი) სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების სრულყოფისა და უკეთ წარმართვის მიზნით, შესაბამის სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობის მიღება.

მუხლი 4. დეპარტამენტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დეპარტამენტის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 1937/10 15/02/2021

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს, ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის'' წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის თანახმად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის დებულების პროექტის განახლებულ ვერსიას.

დებულების განახლება განაპირობა მოქმედ ვერსიაში ტექნიკური ხარვეზების არსებობამ და დეპარტამენტის თანამდებობათა ზოგიერთი დასახელების ცვლილებამ.

დანართი: 6 ფურცელი.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის დებულების (დამტკიცებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 16 მარტის N34 ოქმით) ცვლილება:

1. **დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტი** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი".

2. **დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დეპარტამენტის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობებია: დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (I კატეგორია)".

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 22761/10 29/12/2020

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს
ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის თანახმად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტს.

ზემოაღნიშნული გარემოება განპირობებულია სპეციალისტთა რანჟირების მიმართულებით დეპარტამენტში განხორციელებული გარკვეული ცვლილებებით.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

საკარო სამართლის იურიდიული პირი - ოვანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დებულების (დამტკიცებულია ოვანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 მაისის №3 ოქმით) ცვლილებები:

1. დებულების **მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი** ჩამოყალიბდეს მუმდეგი რედაქციით:

„6. დეპარტამენტის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობებია: დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი, მთავარი სპეციალისტი (I კატეგორია), მთავარი სპეციალისტი (II კატეგორია), წამყვანი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი.“

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 22447/10 24/12/2020

სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს
ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის'' წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის თანახმად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დებულებაში განსახორციელებელი ცვლილების პროექტს, რომელიც უკავშირდება, უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში, სპეციალისტთა რანჟირების მიმართულებით განხორციელებულ ცვლილებებს.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიის დებულების (დამტკიცებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის N5 ოქმით) ცვლილებები:

1. დებულების მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,7. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით კანცელარიისათვის განსაზღვრული თანამდებობებია: კანცელარიის უფროსი, განყოფილების უფროსი, მთავარი სპეციალისტი (I კატეგორია), მთავარი სპეციალისტი (II კატეგორია), წამყვანი სპეციალისტი და უფროსი სპეციალისტი. კანცელარიის თანამშრომლები უნდა აკმაყოფილებდნენ შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და წარმართავდნენ თავიანთ საქმიანობას სამსახურებრივი ინსტრუქციებისა და თანამდებობრივი მოვალეობის შესაბამისად.".

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 22440/10 24/12/2020

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს, ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის'' წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის თანახმად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიის დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტს.

ცვლილებები განპირობებულია კანცელარიის ზოგიერთ თანამდებობათა დასახელებების ცვლილებით, რაც იწვევს დებულების შესაბამისი ნორმების შეცვლის საჭიროებას.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

პროექტი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულება

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ფაკულტეტის სტატუსი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“ ან „თსუ“) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი (შემდგომში - „ფაკულტეტი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის ძირითად სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის ფარგლებში ახორციელებს სასწავლო პროგრამებსა და კვლევებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების და ტურიზმის მიმართულებით, უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას შესაბამის სპეციალობებში და მათთვის სათანადო კვალიფიკაციის მინიჭებას.

2. ფაკულტეტის საქმიანობა ეფუძნება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და წინამდებარე დებულებას.

3. ფაკულტეტის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

4. ფაკულტეტის ოფიციალური სახელწოდება არის „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი“.

5. ფაკულტეტს აქვს ფაკულტეტის ოფიციალური ბეჭედი და ბლანკი, რომლებსაც იყენებს ოფიციალური მიმოწერის დროს, საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

6. ფაკულტეტს აქვს თსუ-ის ვებ-გვერდის ფარგლებში არსებული სპეციალური სივრცე:

www.tsu.edu.ge/ge/faculties/economics .

7. ფაკულტეტის მისამართია: თბილისი 0186, უნივერსიტეტის ქ. N2, უნივერსიტეტის მე-10 კორპუსი.

8. ფაკულტეტის დღედ გამოცხადებულია 30 ივლისი.

მუხლი 2. დებულების მოქმედების სფერო

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ფაკულტეტის სამართლებრივ სტატუსს, ძირითად ამოცანებს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს ფაკულტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. ფაკულტეტის დებულება შესასრულებლად სავალდებულოა ფაკულტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის, პერსონალისა და სტუდენტისათვის. ფაკულტეტის დებულება მოქმედებს ნებისმიერი პირის მიმართ, რომელიც დაამყარებს სამართლებრივ ურთიერთობას ფაკულტეტთან, წინამდებარე დებულების ნორმებით განსაზღვრულ ან და ფაკულტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სხვა საკითხებზე.

მუხლი 3. ფაკულტეტის ამოცანები

ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებია:

ა) ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების და ტურიზმის მიმართულებებით პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის სწავლების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევების წარმართვა; სამეცნიერო კვლევებისთვის პირობების შექმნა და განვითარება, რომელიც შეესაბამება ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და კვლევით მოთხოვნებს;

გ) ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, რომლის კომპეტენცია შეესატყვისება თანამედროვე მოთხოვნებს;

დ) შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა;

ე) სასწავლო პროცესის მართვის მუდმივი გაუმჯობესება, სტუდენტის ცოდნის შეფასების სამართლიანი გარემოს შექმნა;

ვ) სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო საგრანტო კონკურსებში აქტიური მონაწილეობა;

ზ) თანამედროვე ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების და ტურიზმის მიმართულებებით, ლიტერატურის, მათ შორის პერიოდული სამეცნიერო გამოცემებზე და ელექტრონულ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა;

თ) თანამშრომლობა საქართველოს და მსოფლიოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით;

ი) საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პირობების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის უფლებას დამოუკიდებლად განახორციელონ სამეცნიერო კვლევა და სწავლება;

კ) ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას.

თავი II

ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 4. ფაკულტეტის სტრუქტურა

1. ფაკულტეტის სტრუქტურა შედგება ფაკულტეტის დეკანის, ფაკულტეტის დეკანის მოადგილეების, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სასწავლო-სამეცნიერო ერთეულების (კათედრები), დეკანის (ადმინისტრაციული) ოფისის და დამხმარე სამეცნიერო და საგანმანათლებლო ერთეულებისაგან (აისეტი, ტურიზმის სკოლა). ფაკულტეტის სტრუქტურა მოცემულია წინამდებარე დებულების №1 დანართში (დეკანის (ადმინისტრაციული) ოფისი არ წარმოადგენს სტრუქტურულ ერთეულს, არამედ წინამდებარე დებულების მიზნებისათვის გამოყენებულია ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულების - კანცელარია, მატერიალური რესურსების მართვის სამსახური, საფინანსო-ეკონომიკური მიმართულება, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, - ერთობლიობით მოხსენიების მიზნით).

2. ფაკულტეტის სტრუქტურა იერარქიის მიხედვით განსაზღვრავს ფაკულტეტის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობის პირებსა და ძირითად სტრუქტურულ ერთეულებს შორის სამსახურებრივ დაქვემდებარებას.

3. ახალი სტრუქტურული ერთეულების შექმნის ან არსებულის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო, რაც აისახება ფაკულტეტის დებულების ან მისი ცვლილების პროექტში, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

4. დამხმარე სამეცნიერო ერთეულები ფაკულტეტზე შეიძლება შეიქმნას ინსტიტუტის, ცენტრის, ლაბორატორიისა და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფორმით. ფაკულტეტის შემადგენლობაში არსებული დამხმარე სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელობის უფლებამოსილება აქვს პირს, რომელიც ფაკულტეტზე იკავებს აკადემიურ თანამდებობას. დამხმარე სამეცნიერო ერთეული ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის დეკანისა და ფაკულტეტის საბჭოს წინაშე, რომლებსაც წელიწადში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს მისი საქმიანობის შესახებ. დამხმარე სამეცნიერო ერთეულების ჩამონათვალი განისაზღვრება წინამდებარე დებულების №2 დანართით.

5. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით ფაკულტეტზე იქმნება კოლეგიური ორგანო - საგამომცემლო საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს ფაკულტეტის დეკანი. საგამომცემლო საბჭოს უფლებამოსილებებს, ასევე მისი დაკომპლექტების წესს არეგულირებს თსუ-ს რექტორის ბრძანება. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭო ქმნის დარგობრივ სარედაქციო კოლეგიებს, რომლებიც თავიანთი შემადგენლობიდან ირჩევენ თავმჯდომარეს.

6. ფაკულტეტზე დადგენილი წესის შესაბამისად იქმნება ფაკულტეტის საატესტაციო და კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიები.

7. ფაკულტეტზე მოქმედებს სტუდენტური თვითმმართველობა.

8.ფაკულტეტზე მოქმედებს საბავშვო უნივერსიტეტი „ნორჩი ეკონომისტი“

9.ფაკულტეტი გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს „ეკონომიკა და ბიზნესი“.

10. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც წარმოადგენს თსუ ბიბილიოთეკის ნაწილს.

მუხლი 5. ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის მართვა

1. ფაკულტეტის თითოეული სტრუქტურული ერთეული პასუხისმგებელია თავისი კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობასა და მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

2. სტრუქტურული ერთეული თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.

3. სტრუქტურულ ერთეულს ხელმძღვანელობს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

4. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობა გულისხმობს პასუხისმგებლობას სტრუქტურულ ერთეულში შემავალი ყველა თანამშრომლის კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან და უნივერსიტეტში მოქმედ სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობაზე.

5. ფაკულტეტის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტები და შეასრულოს, მასზე, ამ დებულებით და უნივერსიტეტის სხვა შესაბამისი შიდასამართლებრივი აქტებით, საკუთარი სამუშაოთა აღწერილობითა და შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული, კომპეტენციის შესაბამისი უფლება-მოვალეობები.

6. ფაკულტეტის ადმინისტრაციულ ოფისში შემავალი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, უფლებამოსილებები და ვალდებულებები განისაზღვრება წინამდებარე დებულების №3 დანართით.

თავი III

ფაკულტეტის მართვის ორგანოები

მუხლი 6. მართვის ორგანოები

ფაკულტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტები) – ფაკულტეტის საბჭო, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 7. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის კოლეგიური, წარმომადგენლობითი

ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედის: ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტზე არსებული სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებიდან (კათედრებიდან) წარმომადგენლობის საფუძველზე არჩეული აკადემიური პერსონალი და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები.

2. ფაკულტეტის საბჭო შედგება 40 წევრისაგან, რომლის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის დეკანი, 29 წევრი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან (მინიმუმ ერთი წევრი თითოეული კათედრიდან) და 10 წევრი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებიდან.

3. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება წინამდებარე დებულებით, მაგრამ არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის ¼-ზე ნაკლები.

4. ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობისა და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ფაკულტეტის თითოეული დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული - ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET) და ტურიზმის სკოლა, ირჩევს ერთ წარმომადგენელს და წერილობით აცნობებს ფაკულტეტის დეკანს. დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები არ ფლობენ ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსს და შესაბამისად არ შედიან ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ წევრთა საერთო რაოდენობაში.

5. ფაკულტეტის საბჭოში, წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით, აკადემიური პერსონალის 29 წარმომადგენლის არჩევა ხდება შემდეგი პრინციპით:

ა) თითოეული კათედრიდან, კათედრს სხდომაზე აირჩევა 1 წარმომადგენელი;

ბ) 15 კათედრის მიერ დამატებით აირჩევა 14 წარმომადგენელი (ეკონომიკის მიმართულების 7 კათედრიდან 7 წარმომადგენელი, ხოლო ბიზნეს ადმინისტრირების 8 კათედრიდან ასევე 7 წარმოამდგენელი).

6. ფაკულტეტის საბჭოში კათედრის წარმომადგენლების ამ მუხლის მე-5 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით არჩევისას, კანდიდატების დასახელება ხდება კათედრის სხდომაზე, გადაწყვეტილება კათედრის სხოდმაზე მიიღება ღია კენჭისყრის გზით. კათედრის სხდომაზე, კათედრის თითოეულ წევრს შეუძლია საკუთარი ან სხვისი კანდიდატურის დასახელება. ყოველ კანდიდატს კენჭი ეყრება ინდივიდუალურად. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობას. კათედრის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. იმ შემთხვევაში თუ თანაბარი ხმების მიღების გამო ვერ ხერხდება გამარჯვებულის გამოვლენა ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. განმეორებით კენჭისყრაში მონაწილეობენ ის კანდიდატები, რომლებმაც დააგროვეს ხმათა ყველაზე მეტი და თანაბარი რაოდენობა. თუ განმეორებითმა კენჭისყრამ ვერ გამოავლინა გამარჯვებული ინიშნება კათედრის შემდეგი სხდომა, სადაც არჩევის პროცედურა ჩატარდება თავიდან. კათედრის წევრს არ აქვს კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლება.

7. ფაკულტეტის საბჭოში კათედრის წარმომადგენლების ამ მუხლის მე-5 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით არჩევისას, ეკონომიკის (7 კათედრა ერთობლივად) და ბიზნეს ადმინისტრირების (8 კათედრა ერთობლივად) მიმართულება, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ირჩევს ფაკულტეტის საბჭოს შვიდ-შვიდ წარმომადგენელს.

აღნიშნული მიზნით არჩევნები ინიშნება ფაკულტეტის დეკანის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კანდიდატურების დასახელების უფლება აქვთ: დეკანს, კათედრის ხელმძღვანელებს და აკადემიურ პერსონალს. მიმართულებიდან არჩევნების პროცედურის უზრუნველყოფა ხდება ფაკულტეტის დეკანის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. არჩევნები მიმართულებებზე ტარდება ცალ-ცალკე, დეკანის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება საარჩევნო კომისიები, მტკიცდება საარჩევნო სიები და ხდება სხვა აუცილებელი პროცედურების უზრუნველყოფა. არჩევნები შეიძლება ჩატარდეს ერთი და იმავე დღეს. ფაკულტეტის საბჭოში წარმოამდგენლად (საბჭოს წევრად) არჩეულად ითვლება უმაღლესი რაოდენობის ხმების მქონე 7 პირველი კანდიდატი. თუ ერთნაირი რაოდენობის ხმები დააგროვა 7-ზე მეტმა პირმა, იმავე დღეს ტარდება მეორე ტური, სადაც მონაწილეობას იღებენ მხოლოდ ის პირები რომლებმაც მიიღეს ერთნაირი რაოდენობის ხმები.

8. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ერთეულები (კათედრები), მიმართულებები ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობა ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს ამონაწერს სხდომის ოქმიდან ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არჩევის შესახებ. ფაკულტეტის საბჭო დამსწრეთა უმრავლესობით ადასტურებს ფაკულტეტის საბჭოს ახალ წევრთა უფლებამოსილებას.

9. აკადემიური პერსონალიდან ფაკულტეტის საბჭოს წევრობის უფლებამოსილება განისაზღვრება არაუმეტეს 4 წლის ვადით.

10. ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება;

გ) სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა;

დ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ე) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

ვ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 8. ფაკულტეტის საბჭოს უფლებმოსილება

ფაკულტეტის საბჭო:

ა) განსაზღვრავს და თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ხარჯების (ბიუჯეტის) პროექტს;

ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების, აგრეთვე მათში ცვლილებ(ებ)ის პროექტებს;

დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და

დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ე) უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულთან ერთად შეიმუშავებს დისერტაციის დაცვის საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ვ) დეკანის ან სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტ(ებ)ის სადისერტაციო თემ(ებ)ის დამტკიცებისა/სადისერტაციო თემ(ებ)ის სათაურში ცვლილების შეტანის და სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის დანიშვნის თაობაზე;

ზ) სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირების მიზნით გამოყოფს არანაკლებ ორ რეცენზენტს/შემფასებელს, რომელსაც ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო;

თ) ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით იღებს და საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას;

ი) ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;

კ) ქმნის სწავლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმს;

ლ) შეიმუშავებს მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ჩატარების წესს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

მ) განსაზღვრავს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით სპეციალობ(ებ)ის ჩამონათვალს საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების ფარგლებში;

ნ) სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრავს საგამოცდო საგნების კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდისათვის;

ო) სასწავლო წლის დასაწყისში აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას;

პ) აკადემიურ საბჭოს წარუდგენს მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საერთაშორისო გამოცდების ჩამონათვალით გათვალისწინებულ გამოცდაში;

ჟ) წარდგინებით მიმართავს აკადემიურ საბჭოს საპატიო დოქტორის, ემერიტუსის წოდების და საფაკულტეტო მედლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად;

რ) თსუ-ს რექტორს მიმართავს დასაბუთებული წარდგინებით აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულებით სარგებლობის შესახებ;

ს) წყვეტს სტუდენტის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს, მის მიერ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების, თსუ შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსისა თუ უნივერსიტეტის სხვა შესაბამისი შიდასამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში;

ტ) უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და

დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;

უ) დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში თავისი შემადგენლობიდან ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს;

ფ) მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით იღებს გადაწყვეტილებას ცენტრების, ლაბორატორიებისა და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა სტრუქტურული ერთეულების შექმნის შესახებ და ამტკიცებს მათ დებულებას.

ქ) უფლებამოსილია კონკრეტული საკითხის შესასწავლად შექმნას სპეციალური კომისიები, სიითი შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით;

ღ) იღებს გადაწყვეტილებას აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურების - ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის - დამთავრებისას პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე;

ყ) ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ხელმძღვანელს;

შ) ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესს;

ჩ) ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებას და ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებს;

ც) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესს;

ძ) ახორციელებს ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას.

მუხლი 9. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ჩატარების წესი და საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1. ფაკულტეტის საბჭო, როგორც წესი, იკრიბება თვეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ. ფაკულტეტის საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს საკუთარი ინიციატივით ან ფაკულტეტის საბჭოს[8] წევრების სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით.

2. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეობს და სხდომებს წარმართავს ფაკულტეტის დეკანი (დეკანის არარსებობის შემთხვევაში დეკანის მოვალეობის შემსრულებელი[1]). დეკანის და დეკანის არარსებობის პირობებში, მისი მოვალეობის შემსრულებლის არყოფნის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარეს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილებები მიიღება ღია კენჭისყრით თუ კანონმდებლობით ან უნივერსიტეტის წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით და სათანადო დასაბუთებით, დასაშვებია ფარული კენჭისყრის ჩატარება.

4. ფაკულტეტის საბჭო პირველ სხდომაზე საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს ფაკულტეტის საბჭოს მდივანს. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის ფუნქციაა ფაკულტეტის საბჭოს საქმისწარმოების ორგანიზება. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციას ასრულებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამსწრეთა უმრავლესობით არჩეული საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან.

5. ფაკულტეტის საბჭოს მდივანი დეკანის მითითებით ამზადებს ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დღის წესრიგის პროექტს, რომელსაც წინასწარ არაუგვიანეს 2 კალენდარული დღით ადრე აცნობს ფაკულტეტის საბჭოს წევრებს. ფაკულტეტის საბჭოს მდივანი ასევე უზრუნველყოფს საჯარო გაცნობისათვის ფაკულტეტის შენობაში დღის წესრიგის განთავსებას საჯარო სივრცეში, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას.

6. ფაკულტეტის საბჭოს წევრები უფლებამოსილნი არიან დღის წესრიგის პროექტში დამატებით შეიტანონ განსახილველი საკითხი, რის შესახებაც უნდა აცნობონ ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარესა და მდივანს სხდომის ჩატარებამდე, გონივრულ ვადაში.

7. ფაკულტეტის საბჭო სხდომის დაწყებისთანავე ამტკიცებს დღის წესრიგს ღია კენჭისყრით.

8. ფაკულტეტის საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის გახსნის წინ ხდება წევრთა რეგისტრაცია ფაკულტეტის საბჭოს მდივანთან. რეგისტრაციის მონაცემები თან ერთვის სხდომის ოქმს და წარმოადგენს ოქმის განუყოფელ ნაწილს.

9. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი თუ კანონმდებლობით ან უნივერსიტეტის წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ფაკულტეტის საბჭოს თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. ფაკულტეტის საბჭოს წევრს არ აქვს ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლება.

10. ფაკულტეტის საბჭოს ყველა სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს/სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი უნდა განთავსდეს თსუ-ის ვებ-გვერდის ფაკულტეტისათვის გათვალისწინებულ სივრცეში.

[1] დეკანის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის წესი განმარტებულია ამავე დებულების მე-8 მუხლის უ) ქვეპუნქტში. დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ტექსტში ყველგან განიხილება ამ დებულების მე-8 მუხლის უ)ქვეპუნქტის შესაბამისად.

11. ოქმი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სხდომის თარიღი, დრო და ადგილი;

ბ) სხდომაზე გამოცხადებულ ფაკულტეტის საბჭოს წევრთა რაოდენობა;

გ) დღის წესრიგი;

დ) სიტყვით გამომსვლელთა ვინაობა და ტექსტის მოკლე შინაარსი;

ე) კენჭისყრის შედეგები;

ვ) მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 10. ფაკულტეტის დეკანის სტატუსი და არჩევის წესი

1. ფაკულტეტს ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობებში წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი.

2. დეკანის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

3. ფაკულტეტის საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს 4 წლის ვადით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. თუ ვერც ერთმა პრეტენდენტმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში პირველი და მეორე საუკეთესო შედეგის მქონე პრეტენდენტი. თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი. საარჩევნო პროცედურასთან დაკავშირებულ საკითხებს ადგენს თსუ-ის აკადემიური საბჭო.

4. დეკანის არჩევის მიზნით გამართულ ფაკულტეტის საბჭოს სხდომას ხსნის ასარჩევი კანდიდატის სტატუსის არმქონე ფაკულტეტის საბჭოს უხუცესი წევრი. ფაკულტეტის საბჭო ღია კენჭისყრით ირჩევს სხდომის თავმჯდომარეს, რომელიც უზრუნველყოფს ფაკულტეტის საბჭოს სხდომის მიმდინარეობის ფორმალურ და ორგანიზაციულ გამართულობას, გარდა დეკანის არჩევის პროცედურების უზრუნველყოფისა.

5. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.

მუხლი 11. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილებები

1. ფაკულტეტის დეკანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოს, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებებისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების შესრულებაზე;

ე) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

ვ) უნივერსიტეტის რექტორს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს დეკანის მოადგილეების კანდიდატურებს;

ზ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციის პერსონალს;

თ) უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების ნუსხის პროექტს;

ი) პასუხისმგებელია ფაკულტეტის ხარჯების (ბიუჯეტის) მიზნობრივ გამოყენებაზე;

კ) კოორდინირებას უწევს და ხელმძღვანელობს დეკანის (ადმინისტრაციულ) ოფისს;

ლ) ამტკიცებს საატესტაციო და კრედიტების აღიარების კომისიების შემადგენლობას;

მ) ახორციელებს უნივერსიტეტის წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

2. დეკანი, თავისი კომპეტენციის შესაბამისად ინდივიდუალური საკითხების გადასაწყვეტად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს ბრძანებებს, რომლითაც რეგულირდება ფაკულტეტის ფარგლებში სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი საკითხი.

3. ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე, დეკანისათვის სამუშაო ადგილის დროებით შეცვლის (მივლინება), ასევე შვებულების მიცემის გადაწყვეტილებას იღებს რექტორი, რაც ფორმდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

4. დეკანის მიერ თავისი უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, დეკანის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის არარსებობის შემთხვევაში, მის მოვალეობას ავტომატურად ასრულებს დეკანის მოადგილე სასწავლო სფეროში, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კი დეკანის მოადგილე სამეცნიერო სფეროში (გარდა ფაკულტეტის საბჭოს სხდომების თავმჯდომარეობისა).

მუხლი 12. დეკანის მოადგილეები

1. დეკანს ჰყავს ორი მოადგილე, სასწავლო და სამეცნიერო სფეროში.

2. ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თანამდებობის დაკავების უფლება აქვს ფაკულტეტის პროფესორს ან ასოცირებულ პროფესორს.

3. დეკანის მოადგილეებს სასწავლო და სამეცნიერო სფეროში დეკანის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

4. დეკანის მოადგილე სასწავლო სფეროში კოორდინირებას უწევს და ხელმძღვანელობს

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს და უზრუნველყოფს:

ა) სასწავლო პროცესის წარმართვას, სასწავლო პროცესის განრიგისა და აკადემიური პერსონალის დატვირთვების მონიტორინგს;

ბ) ფაკულტეტის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარებას;

გ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დეკანის დავალებების შესრულებას.

5. დეკანის მოადგილე სამეცნიერო სფეროში კოორდინირებას უწევს და ხელმძღვანელობს სამეცნიერო კვლევების განვითარების სამსახურს და უზრუნველყოფს:

ა) სამეცნიერო კვლევების ეფექტიან წარმართვას;

ბ) ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზებას;

გ) საფაკულტეტო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ჩატარებისათვის აუცილებელი სამუშაოების წარმართვას;

დ) სტუდენტთა სამეცნიერო კვლევით საქმიანობის ხელმძღვანელობას, მათ შორის საფაკულტეტო კონფერენციების ორგანიზებას;

დ) ფაკულტეტებთან არსებული კვლევითი ცენტრების მუშაობის კოორდინირებას;

ე) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დეკანის დავალებების შესრულებას.

მუხლი 13. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შიდა შეფასების მიზნით, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუდმივი განვითარებისათვის იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფლებამოსილია ითანამშრომლოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.

3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და სხვა) გამოყენების გზით და აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას.

4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციას, რომელიც გულისხმობს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში მათ მონაწილეობას და სხვ.

5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთიანი საუნივერსიტეტო სისტემის ნაწილს.

6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს წელიწადში ერთხელ წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

მუხლი 14. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც 4 წლის ვადით, ღია კენჭისყრით ირჩევს ფაკულტეტის საბჭო.

2. ფაკულტეტის საბჭოს თითოეულ წევრს შეუძლია საკუთარი ან/და სხვისი კანდიდატურის დასახელება. გამარჯვებულად გამოცხადდება კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. თითოეულ კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე. ფაკულტეტის საბჭოს თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. თანაბარი ხმების მიღების შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. განმეორებით კენჭისყრაში მონაწილეობენ ის კანდიდატები, რომლებმაც დააგროვეს ხმათა ყველაზე მეტი და თანაბარი რაოდენობა. თუ განმეორებითი კენჭისყრის შედეგადაც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული დაინიშნება ახალი არჩევნების თარიღი.

3. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დასაშვებია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევა ფარული კენჭისყრის გზით. ასეთ შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭო ამზადებს და ამტკიცებს არჩევნების ჩატარების პროცედურას.

4. სამსახურის უფროსის დროებით არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება და ა.შ.) მის მოვალეობას ასრულებს სამსახურის უფროსის მიერ სამსახურის შემადგენლობიდან განსაზღვრული ერთ-ერთი თანამშრომელი.

5. სამსახურის უფროსი:

ა) პასუხისმგებელია სამსახურზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

ბ) ანაწილებს მოვალეობებს სამსახურის თანამშრომლებს შორის;

გ) უზრუნველყოფს სამსახურის საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადებასა და წარდგენას ფაკულტეტის საბჭოს წინაშე;

დ) ახორციელებს უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისათვის წასაყენებელ მოთხოვნებს განსაზღვრავს უნივერსიტეტი.

თავი IV

სასწავლო-სამეცნიერო და დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 15. კათედრა

1. სასწავლო-სამეცნიერო ერთეულები (კათედრები) ორგანიზებას უწევენ და ახორციელებენ საგანმანათლებლო პროგრამებს და კვლევებს ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების და ტურიზმის მიმართულებით.

2. კათედრა წარმოადგენს პროგრამის ან მომიჯნავე, მონათესავე ერთმანეთთან მჭიდრო

საგანმანათლებლო-სამეცნიერო კავშირში მყოფი პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური, ტექნიკური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო რესურსების ერთობლიობას.

3. ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის შემდეგი სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები (კათედრები):

ა) აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის კათედრა;

ბ) გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრა;

გ) ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრა;

დ) ეკონომეტრიკის კათედრა;

ე) ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა;

ვ) ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა;

ზ) თეორიული ეკონომიკის კათედრა;

თ) მაკროეკონომიკის კათედრა;

ი) მარკეტინგის კათედრა;

კ) მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა;

ლ) მიკროეკონომიკის კათედრა;

მ) საერთაშორისო ბიზნესის კათედრა;

ნ) საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა;

ო) ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა;

პ) ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრა.

4. კათედრის შექმნისა და გაუქმების შესახებ არგუმენტირებული ინიციატივა შეიძლება გამოთქვას ფაკულტეტის დეკანმა/ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3-მა. კათედრის შექმნისა და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო, რაც აისახება ფაკულტეტის დებულების/დებულების ცვლილების პროექტში და კანონმდებლობით დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

5. კათედრა შედგება სულ მცირე 4 წევრისგან.

6. კათედრის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კათედრის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, გადაწყვეტილება მიიღება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრეთა ნახევარზე მეტი. კათედრაზე კენჭისყრა არის ღია, კათედრის წევრთა გადაწყვეტილებით დასაშვებია გადაწყვეტილების მისაღებად ფარული კენჭისყრის ჩატარება. კათედრის თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით, თუ წინამდებარე დებულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. კათედრის წევრს არ აქვს ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლება.

7. კათედრას ხელმღვანელობს პროფესორი, რომელიც აირჩევა კათედრის პირველ სხდომაზე. კათედრის პირველ სხდომად მიიჩნევა კათედრის შექმნიდან ან უახლოესი აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის შემდეგ დანიშნული სხდომა. კათედრის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს კათედრის ფუნქციონირებას და საქმიანობის

წარმართვას ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად.

8. იმ შემთხვევაში თუ კათედრის შემადგენლობაში შედის მხოლოდ ერთი პროფესორი, ის ავტომატურად ხდება კათედრის ხელმძღვანელი, თუ ორი ან ორზე მეტი პროფესორია კათედრაზე ტარდება კენჭისყრა. არჩეულად ჩაითვლება პირი რომელიც მიიღებს ხმების უმრავლესობას. კანდიდატებს შორის ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. განმეორებით კენჭისყრაში მონაწილეობენ ის კანდიდატები, რომლებმაც დააგროვეს ხმათა ყველაზე მეტი და თანაბარი რაოდენობა. თუ განმეორებით კენჭისყრაშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული ხმების თანაბრად გაყოფის გამო, გადაწყვეტილებას განმეორებით კენჭისყრაში მონაწილე პირთაგან კათედრის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ იღებს ფაკულტეტის დეკანი და გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

9. ასოცირებული პროფესორი კათედრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლად შეიძლება აირჩეს კათედრაზე პროფესორის არარსებობის შემთხვევაში, შესაბამის კათედრაზე პროფესორის არჩევამდე, არაუმეტეს 12 თვემდე ვადით.

10. კათედრის სხდომებს თავმჯდომარეობს კათედრის ხელმძღვანელი. მისი არყოფნის შემთხვევაში კათედრის სხდომის თავმჯდომარის ფუნქციას ასრულებს კათედრის მიერ ღია კენჭისყრით კათედრის შემადგენლობიდან არჩეული პროფესორი, ასეთის არარსებობის შემთხვევაში ასოცირებული პროფესორი.

11. კათედრის თითოეული სხდომის შესახებ ოქმს აწარმოებს სხდომის მდივანი, რომელიც აირჩევა კათედრის შემადგენლობიდან ან პროფესორის ასისტენტი, რომელსაც შესაბამისი გადაწყვეტილებით კათედრა ავალებს სხდომის მდივნობას.

მუხლი 16. ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული - ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET)

1. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა წარმოადგენს ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ანხორციელებს ეკონომიკის მიმართულებით ინგლისურენოვან საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებსა და კვლევებს. სადოქტრორო პროგრამის განხორციელება შესაძლებელია თსუ-ს მხრიდან შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე,

2. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა მოქმედებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, თსუ-ს წესდებისა, ფაკულტეტის დებულების და თავისი დამფუძნებლების („პარტნიორობა ეკონომიკური განათლებისა და კვლევისათვის“) PEER-ის დებულების შესაბამისად.

3. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე, რომელსაც წელიწადში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს მათი საქმიანობის შესახებ.

4. ISET-ის პროგრამების მონიტორინგი ხორციელდება IAB- International Academic Advisory Board („საერთაშორისო აკადემიური სამეთვალყურეო საბჭო“) მიერ, რომელსაც ნიშნავს „პარტნიორობა ეკონომიკური განათლებისა და კვლევისათვის“- ის, PEER-ის მმართველთა საბჭო. შემუშავებული პროგრამა განიხილება თსუ-ში დადგენილი რეგულაციების შესაბამისად, რომელსაც საბოლოოდ ფაკულტეტის საბჭო წარუდგენს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

5. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა იმართება დირექტორის მიერ, რომელსაც ნიშნავს

PEER-ის მმართველთა საბჭო. თსუ-ს რექტორი PEER-ის მმართველთა საბჭოს სრულუფლებიანი წევრია, ხმის მიცემის უფლებით.

6. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის დაფინანსების წყაროებია:

ა) სწავლის საფასური გადახდილი ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების მიერ;

ბ) გრანტის, შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი;

გ) საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ გაცემული სამეცნიერო-კვლევითი გრანტები;

დ) განათლების, მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება;

ე) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

ვ) სახელმწიფო დაკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი.

7. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) მისამართია: თბილისი 0108, ზანდუკელის ქუჩა №16.

მუხლი17 . ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული ტურიზმის სკოლა

1. ტურიზმის სკოლა წარმოადგენს ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ფაკულტეტის გადაწყვეტილებით შესაძლებელია ახორციელებდეს ტურიზმის მიმართულებით საბაკალავრო პროგრამის ადმინისტრირებასა და კვლევებს.

2. ტურიზმის სკოლის ამოცანაა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისთვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად სასწავლო პროცესის წარმართვა.

3. ტურიზმის სკოლა სასწავლო პროცესის წარმართვისას მოქმედებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, თსუ-ს წესდების, ფაკულტეტის დებულებისა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

4. ტურიზმის სკოლა ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის მართვის ორგანოების წინაშე.

5. ტურიზმის სკოლის საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი. ტურიზმის სკოლის დირექტორს, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

6. ტურიზმის სკოლის თანამშრომლები მათი უფლება-მოვალეობების გათვალისწინებით ექვემდებარებიან თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შესაბამის სამსახურებს.

7. ტურიზმის სკოლის მისამართია: თბილისი 0179, ვაჟა-ფშაველას გამზირი N44.

თავი V

საგანმანათლებლო პროგრამები და პროგრამებზე ჩარიცხვა

მუხლი 18. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

1. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) არის უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები.

2. ფაკულტეტზე მოქმედებს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები.

3. პროგრამას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის შესაბამისი დარგის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი.

4. პროგრამას შეიძლება უხელმძღვანელოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულმა პირმა. გადაწყვეტილება პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის შესახებ უნდა მიიღოს ფაკულტეტის საბჭომ შესაბამისი წარდგინების საფუძველზე, რომელშიც უნდა დასაბუთდეს პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის აუცილებლობა. ასეთ შემთხვევაში მოწვეულ პირთან ერთად პროგრამას ასევე უნდა უხელმძღვანელოს ფაკულტეტის პროფესორმა ან ასოცირებულმა პროფესორმა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აკადემიური საბჭო ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

5. პროგრამის ხელმძღვანელები მათი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრის გზით ირჩევენ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის თავმჯდომარეს, შესაბამისი გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით.

6. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომაზე პროგრამის თითოეული ხელმძღვანელი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით, პროგრამის ხელმძღვანელს არ აქვს ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლება. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომაზე დამსწრეთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა.

7. პროგრამის ხელმძღვანელები პასუხისმგებლები არიან სილაბუსების ხარისხსა და ზოგადად ხარისხის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაზე.

მუხლი 19. პროგრამის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

მუხლი 20. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე დებულების №4 დანართით.

თავი VI
ფაკულტეტის პერსონალის შემადგენლობა

მუხლი 21. ფაკულტეტის პერსონალი

1. ფაკულტეტზე არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული, მასწავლებელთა და დამხმარე თანამდებობები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პერსონალის შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 22. აკადემიური პერსონალი

1. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან (მათ შორის უვადო), ასოცირებული პროფესორებისაგან, ასისტენტ-პროფესორებისა და ასისტენტებისაგან.

2. პროფესორი უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტთა სამეცნიერო კვლევით მუშაობას.

3. ასოცირებული პროფესორი მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტთა სამეცნიერო კვლევით მუშაობას.

4. ასისტენტ-პროფესორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო კვლევით პროცესში.

5. ასისტენტი - პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.

6. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი და პირობები, თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, ასევე აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, თსუ-ის წესდებითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 23. ადმინისტრაციული პერსონალი (თანამდებობები)

1. ფაკულტეტზე არსებული ადმინისტრაციული თანამდებობებია: დეკანი, დეკანის მოადგილეები და ფაკულტეტის ხარისიხს უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

2. ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების წესი და პირობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით, თსუ-ს წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

3. ფაკულტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე გათავისუფლების საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) გარდაცვალება;

გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

დ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ე) საქართველოს კანონმდებლობითა ან/და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 24. მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალი

1. მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება მასწავლებელი და უფროსი მასწავლებელი.

2. მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

3.დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული უმაღ ლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობისთვის აუცილებელი პირები (მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში, დამხმარე სტრუქტურული ერთეულის უფროსი/დირექტორი, დამხმარე სტრუქტურული ერთეულის დირექტორის მოადგილე, მთავარი სპეციალისტი (I კატეგორია), მთავარი სპეციალისტი (II კატეგორია), უფროსი სპეციალისტი, ლაბორატორიის გამგე, პროფესორის ასისტენტი), ასევე ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები (რედაქტორი, რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი, კოორდინატორი, ასისტენტი, ექსპერტი, კონსულტანტი,და სხვა).

4. ფაკულტეტი უფლებამოსილია ამ დებულებით გათვალისწინებული აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.

თავი VII

სტუდენტი

მუხლი 25. სტუდენტი

1. თსუ-ის სტუდენტი არის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად.

2. სტუდენტის უფლება-მოვალეობები, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა, დისციპლინური წარმოებასთან დაკავშირებული პროცედურები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, თსუ-ს წესდებით, თსუ-ში მოქმედი რეგულაციებისა და სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 26. ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა

1. უნივერსიტეტში ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე იქმნება ფაკულტეტების მიხედვით არჩეული სტუდენტური თვითმმართველობები.

2. ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის შექმნისა და დაკომპლექტების წესი, ასევე უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“

საქართველოს კანონით, თსუ-ს წესდებითა და თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით.

თავი VIII
ფაკულტეტის ხარჯები (ბიუჯეტი) და ფინანსები

მუხლი 27. ფაკულტეტის ხარჯები (ბიუჯეტი)

1. ფაკულტეტის ხარჯები (ბიუჯეტი) წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს.

2. ფაკულტეტი ხარჯების (ბიუჯეტის) შემუშავებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

მუხლი 28. ფაკულტეტის ფინანსები

ფაკულტეტი მიერ მოზიდული ფინანსებისა და მის განკარგულებაში არსებული ქონების ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს, ფაკულტეტის წარდგინებით წყვეტს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მოქმედი კანონმდებლობითა უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესით.

თავი IX

ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

მუხლი 29. დებულების მიღების, გაუქმების, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. ფაკულტეტის საბჭო დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

2. ფაკულტეტის დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

თავი X

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 30. გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე დებულების ძალაში შესვლიდან 30-ე კალენდარულ დღეს

ფაკულტეტის საბჭოსა და მისი წევრების უფლებამოსილება წყდება.

2. წინამდებარე დებულების ძალაში შესვლიდან არაუგიანეს 30 კალენდარული დღისა უზრუნველყოფილი უნდა იქნას ფაკულტეტის საბჭოს ფორმირება ამ დებულებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 31. დასკვნითი დებულებები

1. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2015 წლის 25 ივნისის N4 სხდომის ოქმით დამტკიცებული ფაკულტეტის დებულება.



პროექტი

*- ყოველ კათედრაზე მუშაობს ერთი პროფესორის ასისტენტი

*- სპეციალისტი მოიაზრება, როგორც პოზიცია და არა თანამდებო[illegible] მთავარი სპეციალისტი და ა.შ.). ასევე არ არის დიფერენცირებული საშტატო და ხელშეკრულებით დასაქმებულთა კატეგორიებად.

* - ISET-ის თანამშრომლები ფინანსდება ISET-ის ბიუჯეტიდან, ხოლო სტრუქტურა და პოზიციები განისაზღვრება საერთაშორისო ხელშეკრულებით.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი დამხმარე სამეცნიერო ერთეულები (ცენტრები):

დამხმარე სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები:

1. ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტი;
2. მარკეტინგული კვლევის ცენტრი;
3. მიგრაციის კვლევის ცენტრი;
4. სტატისტიკის საკონსულტაციო და კვლევითი ლაბორატორია;
5. სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“;
6. ტურიზმის კვლევითი ცენტრი;
7. ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორია.

<u>შენიშვნა: აღნიშნულ დამხმარე სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს ხელმძღვანელობს შესაბამისი აკადემიური პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია გამოყოფილ ქონებაზე; ყველას აქვს დებულება, რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო შესაბამისი კათედრის წარდგინებით.</u>

დანართი №3 *პროექტი*

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის (ადმინისტრაციული ოფისის) ფუნქციური მოვალეობების მომწესრიგებელი წესი

მუხლი 1. დეკანის (ადმინისტრაციული) ოფისი

1. ფაკულტეტის დეკანის (ადმინისტრაციული) ოფისი შედგება ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან, რომლის მიზანია ფაკულტეტზე მიმდინარე საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესების ხელშეწყობა, ფაკულტეტის მართვის ორგანოების, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის სერვისების შეთავაზება და ფაკულტეტის საქმიანობის ტექნიკური უზრუნველყოფა. [1]

2. დეკანის (ადმინისტრაციულ) ოფისში შემავალი დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია:

ა) კანცელარია;

ბ) სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;

გ) მატერიალური რესურსების მართვის სამსახური;

დ) საფინანსო-ეკონომიკური მიმართულება;

ე) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;

ვ) სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური;

3. დეკანის (ადმინისტრაციულ) ოფისში დასაქმებულ ყველა პირს, მათ შორის დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფროსებს, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

4. დეკანის (ადმინისტრაციულ) ოფისში შემავალი ყველა დამხმარე სტრუქტურული ერთეულის უფროსი უშუალო დაქვემდებარების წესით, ხოლო სხვა თანამშრომლები პირდაპირი დაქვემდებარების წესით ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის დეკანის წინაშე.

5. დეკანის (ადმინისტრაციულ) ოფისში შემავალი ყველა დამხმარე სტრუქტურული ერთეული, ამ წესით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის და უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, სტრუქტურული ერთეულის უფროსის უშუალო ხელმძღვანელობით.

[1] დეკანის (ადმინისტრაციული) ოფისი განსაზღვრულია ფაკულტეტის დებულების მე-4 მუხლით.

მუხლი 2. ფაკულტეტის კანცელარია

1. ფაკულტეტის კანცელარიას ხელმძღვანელობს კანცელარიის უფროსი.

2. ფაკულტეტის კანცელარიის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ფაკულტეტზე ერთიანი საქმისწარმოების უზრუნველყოფა;

ბ) კორესპოდენციის მიღება, რეგისტრირება და დანიშნულებისამებრ გადაცემა-დაგზავნა დეკანის (დეკანის მოადგილის) ვიზირების შემდეგ;

გ) შემსრულებლისათვის შემოსული წერილების დროული მიწოდება და შესრულების მიმდინარეობის კონტროლი;

დ) ფაკულტეტზე არსებული საჯარო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა, თსუ-ს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მისი მოთხოვნისთანავე;

ე) ინფორმაციის გაცემა განყოფილებაში შემოსულ დოკუმენტების შესრულებისა და გასული კორესპოდენციის დაგზავნის მდგომარეობაზე;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ დოკუმენტებზე მუშაობის და დგენილი წესების შესრულების კონტროლი;

ზ) ფაკულტეტის საარქივო საქმისწარმოება (დოკუმენტების აღწერა, დამუშავება, დაცვა და სათანადო ვადის გასვლის შემდეგ თსუ-ს არქივისთვის გადაცემა);

3. ფაკულტეტის კანცელარიაში ინახება ფაკულტეტის ბეჭედი, შტამპი და ბლანკი, რომლებიც გამოიყენება ოფიციალური მიმოწერის დროს, საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 3. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური

1. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი.

2. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში შედის სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა მომსახურების ჯგუფი.

3. სასწავლო პროცესის მართვის ჯგუფის ძირითადი ფუნქციებია:

ა) სასწავლო პროგრამების და სტუდენტთა კონტიგენტის შესაბამისად აკადემიური/მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვის მომზადება;

ბ) სასწავლო დატვირთვების კათედრებისთვის გადაცემა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სასწავლო ცხრილების საბოლოო ფორმირება;

გ) აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგების დატვირთვების შესახებ ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა პერსონალის მართვის დეპარტამენტისთვის;

დ) შუალედური, ძირითადი და დამატებითი გამოცდების ცხრილების ფორმირება საგამოცდო ცენტრთან შეთანხმებით;

ე) სასწავლო ცხრილების შესახებ უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურისთვის მათი

მოთხოვნის შესაბამისად ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა;

ვ) მობილობის ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფა;

ზ) სტუდენტებისთვის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ წარდგინების მომზადება და გადაცემა უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურისთვის;

თ) კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება;

ი) შემოსული კორესპოდენციის განხილვა/რეაგირება თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

კ) ფაკულტეტის დეკანის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტების ბრძანებების პროექტების მომზადება.

4. სტუდენტთა მომსახურების ჯგუფის ძირითადი ფუნქციები:

ა) სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით კონსულტაციების გაწევა;

ბ) შემოსული კორესპოდენციის განხილვა/რეაგირებათავისი კომპეტენციის ფარგლებში;

გ) დამატებით სემესტრში სტუდენტთა დასარეგისტრირებლად წარდგინების მომზადება და უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურისთვის მიწოდების უზრუნველყოფა.

დ) ხარისხის მინიჭების შესახებ წარდგინებისა და დიპლომების დანართების მომზადება;

ე) სტუდენტთა ხელშეკრულებების გაფორმების უზრუნველყოფა;

ვ) ფაკულტეტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სტუდენტებისათვის ცნობების მომზადებისა და გაცემის ორგანიზება;

ზ) იმ დასკვნითი და დამატებითი მაგისტრატურის/დოქტორანტურის გამოცდების შეტანა ბაზაში, რომლებიც ფაკულტეტზე ტარდება;

თ) სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოება/დაარქივება.

მუხლი 4. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური

1. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი.

2. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ფაკულტეტზე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კოორდინაცია;

ბ) ინოვაციურ ცოდნაზე, ხარისხსა და შედეგზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევების

განხორციელების, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესის ინტეგრაციის ხელშეწყობა;

გ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების ანალიზი, წლიური ანგარიშის

მომზადება და უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტში წარდგენა;

დ) ფაკულტეტის პროგრამების განხორციელებისათვის, შესაბამის კათედრასთან ერთად, აუცილებელი უცხოური სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, ასევე მოძიებული ლიტერატურის თარგმნისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსების შერჩევა, თარგმნის პროცესის ორგანიზება და კოორდინაცია;

ე) დოქტორანტთა სამეცნიერო მუშაობის კოორდინირება, სამეცნიერო-კვლევითი პროექტების და სემინარების ჩატარების ორგანიზება;

ვ) სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება;

ზ) ფაკულტეტის საერთაშორისო კავშირების გაფართოება, ერთობლივი სასწავლო და სამეცნიერო პროექტების განხორციელება;

თ) ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული ზრდისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელება;

ი) საფაკულტეტო საგრანტო სამეცნიერო პროექტების შერჩევაში მონაწილეობის მიღება;

კ)ნაციონალური და საერთაშორისო საგრანტო პროგრამების მოძიების მიმართულებით, როგორც აკადემიური პერსონალის, ისე ახალგაზრდა მკვლევარებისა და დოქტორანტთა მხარდაჭერის მიზნით.

მუხლი 5. მატერიალური რესურსების მართვის სამსახური

1. მატერიალური რესურსების მართვის სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი.

2. მატერიალური რესურსების სამსახურის ფუნქციებია:

ა) ფაკულტეტის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსების ეფექტური მართვა;

ბ) სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა;

გ) ფაკულტეტის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსების შენახვის, აღრიცხვისა და გამოყენების პროცესის სრულყოფის მიზნით უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობა;

დ) ფაკულტეტის სასწავლო-მეთოდური, სამეცნიერო-კვლევითი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა;

ე) ფაკულტეტის ოპერატიულ მართვაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაცვა;

ვ) სასწავლო პროცესის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა.

მუხლი 6. საფინანსო-ეკონომიკური მიმართულება

1. საფინანსო-ეკონომიკურ მიმართულებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

ა) მონაწილეობა მიიღოს ფაკულტეტის საბჭოსთან ერთად ფაკულტეტის ბიუჯეტის დაგეგმვაში;

ბ) კოორდინირება გაუწიოს ფაკულტეტის დამხმარე პერსონალის საქმიანობას;

გ) უზრუნველყოს ფაკულტეტზე საფინანსო-ეკონომიკური დოკუმენტების დამუშავება;

დ) ხელი შეუწყოს ფაკულტეტის ბიუჯეტის გეგმაზომიერად წარმართვას;

ე) უზრუნველყოს ფაკულტეტის პერსონალის სამივლინებლო ხარჯების ეფექტიანი განაწილება;

ვ) ხელი შეუწყოს ფაკულტეტზე სხვადასხვა კომისიების მუშაობას და უზრუნველყოს კომუნიკაცია შესაბამის სამსახურებთან.

ზ) ეფექტიანად მოახდინოს სტუდენტებისთვის განკუთვნილი ფინანსების გადანაწილება.

მუხლი 7. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

1. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი.

2. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ძირითადი ამოცანები:

ა) ფაკულტეტის საქმიანობის შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა, ფაკულტეტის საქმიანობის პოპულარიზაცია;

ბ) ფაკულტეტზე სხვადასხვა შეხვედრებისა და საჯარო გამოსვლების დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება;

გ) უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციის სისტემური განთავსება/განახლება.

დ) სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან ურთიერთობა სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის, სტაჟირებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, თსუ სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრთან კოორდინაციაში;

ე) სახელისუფლებო სტრუქტურებთან, სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებთან, არასამთავრობო და სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობა, ერთობლივი პროექტების განხორციელება;

ვ) ფაკულტეტზე არსებული სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის, საერთაშორისო კავშირების და სხვა მსგავსი საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ბუკლეტების, ბროშურების, პლაკატების, „ფლაიერების“, „ბანერების“დამზადების ორგანიზება და

გავრცელება;

ზ) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების წყაროების საძიებო სისტემის ფორმირება და შესაბამისი საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურთან ერთად;

თ) სამეცნიერო კვლევების შედეგების პრეზენტაციისა და პოპულარიზაციის მიზნით, შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების საფუძველზე საქმიანი კონტრაქტების დამყარება არასაუნივერსიტეტო ცენტრებთან, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან, სამთავრობო დაწესებულებებთან და ბიზნეს-სექტორთან;

ი) ფაკულტეტის საერთაშორისო კავშირების გაფართოება;

კ) ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე უცხოელი სტუდენტების მოზიდვის ხელშეწყობა თსუ საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტთან კოორდინაციაში.

დანართი №4

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა

მუხლი1. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სტუდენტის ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმაღლესი განათლებისშესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად.

2.ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს.

3. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

4. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტებს/მაგისტრანტობის კანდიდატებს თსუ-ს სტუდენტის სტატუსი მიენიჭება კანონმდებლობით და დადგენილი წესის შესაბამისად.

5. სტუდენტის სემესტრული რეგისტრაცია რეგლამენტირებულია უნივერსიტეტის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე და მოიცავს ორ ეტაპს: ადმინისტრაციულ და აკადემიურ რეგისტრაციას. სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა გულისხმობს სწავლის საფასურის სრულ ან ნაწილობრივ გადახდას თსუ-ში დადგენილი წესების შესაბამისად, ხოლო აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებას სასწავლო პროცესის მართვის სისტემის საშუალებით.

6. საუნივერსიტეტო განათლების ცალკეული საფეხურის დასრულების შემდეგ პირს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია.

7. აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, რომელსაც თან ერთვის სტანდარტული დანართი.

მუხლი2. მაგისტრატურაში მიღების წესი

1. მაგისტრატურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

2. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

3. მაგისტრატურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის

კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის წინაპირობების გათვალისწინებით. მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის გამოცდას/გამოცდებს ატარებს ფაკულტეტი თსუ საგამოცდო ცენტრის ტექნიკური მხარდაჭერით.

5. საბუთების მიღების ვადები და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მტკიცდება თსუ-ს რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

6. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების შესაბამისი საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპის წარმატებით ჩაბარების შემდეგ მაგისტრანტობის კანდიდატი საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარების მიზნითგადის საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით განსაზღვრულ გამოცდაზე/გამოცდებზე.

7. საბუთების მიღებას ახორციელებს საბუთების მიმღები კომისია, რომელსაც ფაკულტეტის დეკანი ამტკიცებს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

8. მაგისტრანტობის კანდიდატს წარმოდგენილი საბუთები კონკურსის დამთავრების შემდეგ უკან აღარ უბრუნდება.

9. საბუთების მიმღები კომისია ვალდებულია:

ა) მიიღოს საბუთები რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში;

ბ) შეამოწმოს წარმოდგენილი საბუთების შესაბამისობა სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნებთან;

გ) წარმოდგენილი საბუთების სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნებთან და სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებთან შეუსაბამობის შემთხვევაში შეადგინოს დასკვნა, რომელიც თან უნდა ერთვოდეს საბუთებს. მაგისტრანტობის კანდიდატს შეუსაბამობის შესახებ წერილობითი ფორმით უნდა ეცნობოს კომისიის მიერ.

აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, რომელსაც თან ერთვის სტანდარტული დანართი.

მუხლი 3. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდები

1. მაგისტრანტობის კანდიდატი აბარებს შესაბამისი პროგრამით განსაზღვრულ გამოცდას/გამოცდებს, რომელიც პროგრამიდან გამომდინარე შეიძლება ითვალისწინებდეს გამოცდას სპეციალობის საგანში ან/და უცხო ენებში. გამოცდა ტარდება წერილობითი ფორმით, რომელიც საგამოცდო კომისიის წევრის მიერ ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი მიიღებს მინიმუმ 51 ქულას.გამოცდა ასევე შეიძლება ჩატარდეს ტესტური ფორმით (მაქსიმალური შეფასება დგინდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ), გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება თუ კანდიდატი მიიღებს მაქსიმალური ქულების ნახევარზე მეტს.

2. სამაგისტრო პროგრამით განისაზღვრება უცხო ენის ცოდნის საჭირო დონე. უცხო ენის გამოცდისაგან გათავისუფლდებიან მაგისტრანტობის კანდიდატები, რომლებიც წარმოადგენენ უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს,

გადაწყვეტილებას უცხო ენის გამოცდისგან გათავისუფლების შესახებ იღებს თსუ უცხო ენების შემსწავლელი ცენტრი.

3. ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე სპეციალობის მისაღები გამოცდის და საპრეტენზიო საბჭოს შემადგენლობა მტკიცდება თსუ რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით.

4. სამაგისტრო პროგრამა შეიძლება ითვალისწინებდეს მაგისტრანტობის კანდიდატთან გასაუბრების ჩატარებას.

5. მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული ბაკალავრიატის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

7. მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება თსუ-სა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

8. იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ხელშეკრულებები თსუ-ს მიერ დგება რექტორის ერთიანი აქტი ჩარიცხული პირების შესახებ.

მუხლი 4. დოქტორანტურაში მიღების წესი

1. დოქტორანტურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრების მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

2. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები განსაზღვრულია თსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული "დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ" დადგენილებით, ასევე ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით, სადოქტორო პროგრამებითა და წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით.

3. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

4. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. სადოქტორო პროგრამაზე/პროგრამებზე დოქტორანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

6. საბუთების მიღების ვადები და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მტკიცდება თსუ-ს რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7. დოქტორანტობის კანდიდატი ვალდებულია თსუ-სრექტორის ბრძანებით განსაზღვრული საბუთები წარუდგენოს ფაკულტეტის საბუთების მიმღებ კომისიას, რომლის შემადგენლობა მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

8. დოქტორანტობის კანდიდატს წარმოდგენილი საბუთები კონკურსის დამთავრების შემდეგ უკან აღარ უბრუნდება.

9.საბუთების მიმღები კომისია ვალდებულია:

ა) მიიღოს საბუთები რექტორის მიერ განსაზღვრულ ვადებში;

ბ) შეამოწმოს წარმოდგენილი საბუთების შესაბამისობა სადოქტორო პროგრამის მოთხოვნებთან;

გ) წარმოდგენილი საბუთების სადოქტორო პროგრამის მოთხოვნებთან და სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებთან შეუსაბამობის შემთხვევაში დაწეროს დასკვნა, რომელიც თან უნდა ერთვოდეს საბუთებს. დოქტორანტობის კანდიდატს შეუსაბამობის შესახებ წერილობითი ფორმით უნდა ეცნობოს კომისიის მიერ.

10. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელ სერთიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან აბარებს გამოცდას ქართულ ენაში. ქართულ ენაში გამოცდისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუკი სადოქტორო პროგრამის ცალკეული კოპონენტი/კომპონენტები ხორციელდება ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას, ასეთ შემთხვევაში, დოქტორანტს ეკისრება ვალდებულება, დისერტაციის დაცვამდე სულ მცირე ორი სემესტრით ადრე დაადასტუროს ქართული ენის ცოდნა ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატით ან გამოცდით.

11. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. ევროპული სამეცნიერო (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) ენის გამოცდისაგან დოქტორანტობის კანდიდატი თავისუფლდება შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში, ან თუ სამაგისტრო პროგრამა გავლილი აქვს ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას.

12. დოქტორანტობის კანდიდატი, უცხო ენის გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში გადის გასაუბრებას ფაკულტეტის საბჭოს მიერ დადგენილი დარგობრივი კომისიის წინაშე, რომლის შემადგენლობა მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

13. გასაუბრება შეფასდება სამი კრიტერიუმით: განათლება (კვალიფიკაციასთან შესაბამისობა), მოტივაცია, კვლევითი პროექტის პრეზენტაცია. თითოეული კომპონენტი ფასდება 1-10 ქულამდე. ხოლო საბოლოო შეფასება მოხდება სამივე კომპონენტი საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით. 6 და ნაკლები ქულის დაგროვების შემთხვევაში დოქტორანტობის კანდიდატი ეთიშება კონკურსს.

14. კონკურსის შედეგების საფუძველზე დოქტორანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება თსუ-სა და დოქტორანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ხელშეკრულებები ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე, თსუ-ს მიერ გამოიცემა რექტორის ერთიანი აქტი ჩარიცხული პირების შესახებ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF ECONOMICS AND BUSINESS

N 22380/29
23/12/2020

22380-29-3-202012231533

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს,

ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

მიმდინარე წლის 17 დეკემბერს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭომ დაამტკიცა ფაკულტეტის დებულება და დანართები (ოთხი დანართი). ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ამონაწერი თან ერთვის. დებულების პროექტმა გაიარა ხანგრძლივი კონსულტაციები ფაკულტეტის ყველა კათედრასთან და შესაბამისად აკადემიურ პერსონალთან. ასევე დებულების პროექტი შეთანხმდა იურიდიულ დეპარტამენტთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტთან, საფინანსო დეპარტამენტთან და პერსონალის მართვის დეპარტამენტთან. შეთანხმება განხორციელდა ელექტრონული მიმოწერის საშუალებით. შესაბამისი ფაილები (სკრინშოთები) გადმოგზავნილია თქვენს თსუ მეილზე.

გთხოვთ შეიტანოთ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დღის წესრიგში ფაკულტეტის დებულების დამტკიცების საკითხი.

წინასწარ გმადლობთ თანადგომისათვის.

პატივისცემით,

გიორგი ღაღანიძე

დეკანი
ადმინისტრაცია

უნივერსიტეტის ქ. 2, 0186 თბილისი, საქართველო
2, University Str., 0186 Tbilisi, Georgia
http://www.economics.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 230 00 32, 2 30 45 36 Tel.
ფაქსი: +(995 32) 230 00 32 Fax
ელ.ფოსტა: economics@tsu.ge; E-mail

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

ილია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის №12 ოქმიდან

17. 12. 2020

მოსმენილნ: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების პროექტი

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭის თავმჯდომარე, პროფესორი გ. ღაღანიძე/

პროფესორმა გ. ღაღანიძემ საბჭოს წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების პროექტი.

დებულების პროექტი გაეგზავნა ფაკულტეტის ყველა კათედრას და უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს. ფაკულტეტის საბჭოზე წარმოდგენილ დებულების პროექტის რედაქციაში გათვალისწინებულია მოღებული მოსაზრებები.

გადაწყდა: კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მიმხრე -27

წინააღმდეგი - 0

დადგინდა: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები.

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის

საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი ... ღაღანიძე

საბჭოს მდივანი, ასოცირებული პროფესორი ... შ. ბისტრაძე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

2020 წლის ანგარიში

მომზადებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის მიხედვით, აკადემიური საბჭო წლიურ ანგარიშს წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

შესავალი

2020 წლის განმავლობაში ჩატარდა აკადემიური საბჭოს 24 სხდომა, 3 წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების ერთობლივი სხდომა, მიღებულ იქნა 122 დადგენილება და წარმომადგენლობითი საბჭოსათვის გაგზავნილ იქნა 9 წარდგინება.

2020 წელი გამოწვევებით სავსე აღმოჩნდა უნივერსიტეტისთვის, ქვეყანაში თუ მთელ მსოფლიოში მიმდინარე კორონავირუსის (COVID-19) გათვალისწინებით. აღნიშნული მიზეზით საჭირო გახდა სხდომის ჩატარების ფორმატთან დაკავშირებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. კერძოდ, „საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 მაისის N321 დადგენილების შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, აკადემიური საბჭოს სხდომების დისტანციურად, ელექტრონული საშუალების - Zoom-ის გამოყენებით ჩატარების თაობაზე.
ზემოაღნიშნული მიზეზით ცვლილები არა მხოლოდ აკადემიურ საბჭოს, არამედ მთლიანად უნივერსიტეტს შეეხო. უნივერსიტეტმა მაქსიმალურად გადაიტანა თავისი საქმიანობა დისტანციურ ფორმატში, იქნება ეს სასწავლო პროცესი თუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციული საქმიანობა.

აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე საჭირო გახდა გარკვეულ დადგენილებებში ცვლილებების განხორციელება, ხოლო სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში სწავლების ადმინისტრირებისათვის შესაბამისი დოკუმენტის შექმნა. აღნიშნული დადგენილებებია:

- „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლების განხორციელების კონცეფციისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №31/2020, 6.04.2020);
- “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურების დამტკიცების თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2014 წლის 5 მარტის №22/2014 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №33/2020, 30.04.2020);
- “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლების განხორციელების კონცეფციისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2020 წლის 6 აპრილის №31/2020 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №35/2020, 13.05.2020);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30

სექტემბრის №96/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №42/2020, 25.05.2020).

- 2020 წლის განმავლობაში თსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნები სამჯერ გამოცხადდა, რითაც შეივსო აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულთა და ფაკულტეტების წარმომადგენელთა (თითოეული ფაკულტეტის სამი წარმომადგენლიდან - ერთი წევრი) ვაკანსიები.

- 2020 წლის 4 აგვისტოს ჩატარდა უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები. აღნიშნული თანამდებობა მეორე ვადით **გიორგი შარვაშიძემ** დაიკავა (დადგენილება №79/2020, 04.08.2020).

- გამოვყოფთ რამდენიმე სიახლეს, რომელსაც აკადემიურმა საბჭომ მხარი დაუჭირა და დაამტკიცა:

❖ შეიქმნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი (დადგენილება №37/2020, 13.05.2020);

❖ დამტკიცდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის მედლის მინიჭების პირობები და დაჯილდოების წესი (დადგენილება №107/2020, 9.11.2020);

❖ ცვლილება შევიდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში (დადგენილება №56/2020, 22.06.2020), ხოლო სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება ახალი რედაქციით დამტკიცდა (დადგენილება №77/2020, 30.07.2020).

შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში – კანონი) 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" (შემდეგში – წესდება) მე-8 მუხლის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აკადემიური საბჭო ადგენს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ დადგენილებაში 2020 წლის განმავლობაში ცვლილებები შეტანილ იქნა „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2020 წლის 24 თებერვლის №8/2020, ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 24 თებერვლის №9/2020, „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ნოემბრის №115/2020 და ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ნოემბრის №116/2020 დადგენილებებით.

პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევა და კონკურსთან დაკავშირებული ღონისძიებები

კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტისა და „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ მიიღო 48

დადგენილება <u>პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის, გათავისუფლების თუ კონკურსთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების გატარების შესახებ:</u>

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №185/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №5/2020, 3.02.2020);
– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 5 ივლისის №167/01-01 ბრძანების მიზნებიდან გამომდინარე „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 სექტემბრის №104/2019 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №6/2020, 3.02.2020);
– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორებისა და ასისტენტების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №21/2020, 2.03.2020);
– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №22/2020, 2.03.2020);
– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №24/2020, 2.03.2020);
– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №25/2020, 23.03.2020);
– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №28/2020, 30.03.2020);
– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №29/2020, 30.03.2020);
– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №32/2020, 15.04.2020);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №34/2020, 30.04.2020);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №41/2020, 25.05.2020);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №44/2020, 8.06.2020);

– „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს №69/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” (დადგენილება №46/2020, 8.06.2020);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 მარტის №23/2019 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №47/2020, 8.06.2020);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №48/2020, 8.06.2020);

– „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს №69/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №55/2020, 22.06.2020);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 10 ივლისის №175/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” (დადგენილება №62/2020, 9.07.2020);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №63/2020, 9.07.2020);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №64/2020, 9.07.2020);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №65/2020, 9.07.2020);
– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №72/2020, 30.07.2020);
– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №73/2020, 30.07.2020);
– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №75/2020, 30.07.2020);
– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №81/2020, 11.09.2020);
– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №82/2020, 11.09.2020);
– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №83/2020, 11.09.2020);
– „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს №68/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” (დადგენილება №85/2020, 11.09.2020);
– “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის №103/2017 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №86/2020, 11.09.2020);
– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 ივნისის №54/2020 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცებაზე უარის თქმისა და შესაბამისი მითითებით საკითხის საკონკურსო კომისიისათვის დაბრუნების შესახებ“ (დადგენილება №87/2020, 11.09.2020);
– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 4 ივნისის №100/01-01 ბრძანების მიზნებიდან გამომდინარე „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და

პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 ივნისის №54/2020 დადგენილების მე-3 პუნქტით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №88/2020, 11.09.2020);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №91/2020, 11.09.2020);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 ივნისის №54/2020 დადგენილების მე-4 პუნქტით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმის ნაწილობრივ დამტკიცებისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასისტენტ-პროფესორის (1 საშტატო ერთეული) სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის დასრულებულად ჩათვლის შესახებ“ (დადგენილება №92/2020, 11.09.2020);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №95/2020, 18.09.2020);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №96/2020, 18.09.2020);

– “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №97/2020, 1.10.2020);

– “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №98/2020, 1.10.2020);

– “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №99/2020, 1.10.2020);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 სექტემბრის №83/2020 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №105/2020, 9.11.2020);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №108/2020, 9.11.2020);

– “ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 სექტემბრის №80/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №110/2020, 30.11.2020);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №193/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №111/2020, 30.11.2020);

– „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს №69/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №112/2020, 30.11.2020);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №113/2020, 30.11.2020);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის 2020 წლის 3 ივლისის №125/01-01 ბრძანებით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტების მათემატიკური ლოგიკისა და დისკრეტული სტრუქტურების კათედრის (ინტერდისციპლინური) ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის დასრულებულად ჩათვლის შესახებ“ (დადგენილება №120/2020, 14.12.2020).

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსებში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილებებით:

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ“ (დადგენილება №13/2020, 24.02.2020);

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ“ (დადგენილება №40/2020, 25.05.2020);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ“ (დადგენილება №49/2020, 8.06.2020);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსებში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ“ (დადგენილება №60/2020, 9.07.2020).

საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცება

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, წესდების მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტისა და „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების საფუძველზე მიღებულია 23 დადგენილება, რომელიც ეხება <u>საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცებას.</u> ესენია:

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №1/2020, 3.02.2020);
– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ” (დადგენილება №2/2020, 3.02.2020);
– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №3/2020, 3.02.2020);
– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორებისა და ასისტენტების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №4/2020, 3.02.2020);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №12/2020, 24.02.2020);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №14/2020, 24.02.2020);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №26/2020, 30.03.2020);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №27/2020, 30.03.2020);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №38/2020, 25.05.2020);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №39/2020, 25.05.2020);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №43/2020, 8.06.2020);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №52/2020, 22.06.2020);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული

პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №53/2020, 22.06.2020);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №54/2020, 22.06.2020);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №59/2020, 9.07.2020);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ” (დადგენილება №61/2020, 9.07.2020);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №68/2020, 21.07.2020);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №74/2020, 30.07.2020);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 ივლისის №59/2020 დადგენილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე” (დადგენილება №84/2020, 11.09.2020);

– “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ” (დადგენილება №101/2020, 12.10.2020);

– "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ" (დადგენილება №104/2020, 9.11.2020);
– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 ნოემბრის №104/2020 დადგენილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე" (დადგენილება №118/2020, 14.12.2020);
– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ" (დადგენილება №121/2020, 24.12.2020).

საპატიო დოქტორის წოდებისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლის მინიჭება

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის, 39-ე მუხლისა და წესდების მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ" და „ძ" ქვეპუნქტების საფუძველზე, 2020 წელს აკადემიურმა საბჭომ მიიღო 3 დადგენილება საპატიო დოქტორის წოდებისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლის მინიჭების შესახებ.

თსუ–ს საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა:

- **ლეშეკ ბალცეროვიჩს** (დადგენილება №7/2020, 24.02.2020).

თსუ-ს ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი მიენიჭა:

- **ინესა მერაბიშვილს** (დადგენილება №23/2020, 2.03.2020);
- **ნოდარ ჭიჭინაძეს** (დადგენილება №106/2020, 9.11.2020).

სასწავლო პროცესი

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტისა და წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ქ" და „წ" ქვეპუნქტების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ მიიღო 9 დადგენილება უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის რეგულირების სხვადასხვა საკითხზე:

- “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №100/2019 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №16/2020, 24.02.2020);
- „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №72/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №17/2020, 24.02.2020);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №94/2019 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №18/2020, 24.02.2020);
- „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლების განხორციელების კონცეფციისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №31/2020, 6.04.2020);
- “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლების განხორციელების კონცეფციისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2020 წლის 6 აპრილის №31/2020 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №35/2020, 13.05.2020);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №94/2019 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №69/2020, 21.07.2020);
- “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №96/2019 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №70/2020, 21.07.2020);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №78/2020, 30.07.2020);
- “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ” (დადგენილება №100/2020, 1.10.2020).

ანკეტა-კითხვარი

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ და „ი[1]“ ქვეპუნქტებისა და წესდების მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ და „წ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ 2020 წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი დადგენილებები:

- „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2020-2021 სასწავლო წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №15/2020, 24.02.2020);
- „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2020-2021 სასწავლო წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2020 წლის 24 თებერვლის №15/2020 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №89/2020, 11.09.2020);
- „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2020 წელს აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით სპეციალური ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №94/2020, 18.09.2020);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2021-2022 სასწავლო წლის ბაკალავრიატის, მედიცინის ერთსაფეხურიანი, ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ” (დადგენილება №119/2020, 14.12.2020).

საგანმანათლებლო პროგრამები

2020 წელს განხორციელდა, როგორც პროგრამების რეაკრედიტირება, ასევე მათში ცვლილებების შეტანა. კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ ცვლილებები შეიტანა 2011 წლის 29 ივნისის „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ №57/2011 დადგენილებაში შემდეგი დადგენილებებით: №20/2020, №36/2020, №57/2020, №66/2020, №67/2020, №71/2020, №76/2020, №90/2020, №102/2020, №103/2020, №109/2020, №114/2020, №122/2020.

ასევე მიღებულია დადგენილება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სასწავლო კურსების სილაბუსების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 13 სექტემბრის №91/2011 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №58/2020, 22.06.2020).

სტრუქტურული ერთეულები

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა და წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ მიიღო შემდეგი დადგენილებები:

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პროფესიული განათლების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ივნისის №64/2019 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №10/2020, 24.02.2020);
- “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2018 წლის 27 დეკემბრის №243/2018 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №11/2020, 24.02.2020);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №63/2018 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №117/2020, 14.12.2020).

სხვა სახის დადგენილებები

აკადემიურმა საბჭომ კანონის 21-ე მუხლითა და წესდების მე-8 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ასევე მიიღო შემდეგი დადგენილებები:

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ბლანკების ფორმის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №19/2020, 24.02.2020);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ლევან ტიელიძის მიერ აკადემიური ეთიკის დარღვევის შესახებ შემოსულ განცხადებასთან დაკავშირებით ჩატარებული წარმოების შედეგების განსაზღვრის თაობაზე“ (დადგენილება №30/2020, 30.03.2020);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკური მეცნიერების დარგში პაატა გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 3 დეკემბრის №232/2018 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №45/2020, 8.06.2020);

- “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2018 წლის 4 ივნისის №140/2018 დადგენილებით დამტკიცებული საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს არსებული შემადგენლობისათვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“ (დადგენილება №50/2020, 8.06.2020);
- “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე” (დადგენილება №51/2020, 22.06.2020);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №80/2020, 11.09.2020);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე 2020/2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სწავლის გადასახადის განსაზღვრის შესახებ“ (დადგენილება №93/2020, 11.09.2020).

N 2464/10
19/02/2021

2464-10-3-202102191650

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოგიდგენთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის ანგარიშს.

დანართი: 17 გვერდი

პატივისცემით

გიორგი შარვაშიძე

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 16/2021 9 ივნისი 2021 წ.

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2020 წლის 17 დეკემბრის №21951/29 და თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის 2021 წლის 28 იანვრის №725/32 წერილების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 9 თებერვლის №3 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში და პირველი პუნქტით დამტკიცებული №1 და №3 დანართები ჩამოყალიბდეს ახალი, წინამდებარე დადგენილებაზე თანდართული სახით (დანართი №1, დანართი №3).

2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ: +(995 32) 225 04 84 Tel.
ელ-ფოსტა: academic.council@tsu.ge E-mail.

5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

<u>დანართი №1</u>

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **მედიცინის ფაკულტეტის** აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს: პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 6-საათიანი სააუდიტორიო (პედაგოგიური) დატვირთვა, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 8-საათიანი სააუდიტორიო (პედაგოგიური) დატვირთვა, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 10-საათიანი სააუდიტორიო (პედაგოგიური) დატვირთვა და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ა“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1620 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1330 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1050 ლარი.

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას: პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური) და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ბ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1460 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1190 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 930 ლარი.

დანართი №3

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის** აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 16-საათიან - 8 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 8 საათი საკონსულტაციო დატვირთვას; ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 22-საათიან - 10 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 12 საათი საკონსულტაციო დატვირთვას; ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 24-საათიან - 12 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 12 საათი საკონსულტაციო დატვირთვას, შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

აფილირებული აკადემიური პერსონალი

„ა“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 4000 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 3200 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 2300 ლარი.

1^1. წინამდებარე დანართის პირველი პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისს წარმოადგენს და ამ პუნქტით დადგენილი წესით უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში და შემდეგი სახით:
ა) შესაბამისი ანაზღაურებით სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის განხორციელება;
ბ) არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა;

გ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ საქმიანობაში მონაწილეობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

დ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებული, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის ანაზღაურებადი სახით წაკითხვის თაობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

ე) შესაბამისი ანაზღაურებით განათლების ავტორიზაციისა ან/და აკრედიტაციის ან/და სხვა პროფილური მიმართულების ექსპერტის თანამდებობაზე საქმიანობა (ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი).

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), ასისტენტ-პროფესორისათვის

კვირაში არანაკლებ 8 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური) და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

აფილირებული აკადემიური პერსონალი

„ბ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 2300 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1800 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1200 ლარი.

არააფილირებული აკადემიური პერსონალი

„ბ“ კატეგორია

ა) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1600 ლარი;
ბ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 960 ლარი.

N 1908/10
15/02/2021

1908-10-3-202102151553

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 9 თებერვლის №16/2021 დადგენილებას.

დანართი: 6 გვერდი.

პატივისცემით

გიორგი შარვაშიძე



რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 17/2021 9 თებერვალი 2021 წ.

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2020 წლის 17 დეკემბრის №21951/29 და თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის 2021 წლის 28 იანვრის №725/32 წერილების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 9 თებერვლის №3 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში და მე-2 პუნქტით დამტკიცებული №1 და №3 დანართები ჩამოყალიბდეს ახალი, წინამდებარე დადგენილებაზე თანდართული სახით (დანართი №1, დანართი №3).

2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

იალია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ: +(995 32) 225 04 84 Tel.
ელ-ფოსტა: academic.council@tsu.ge E-mail.

4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის **მედიცინის ფაკულტეტ**ის აკადემიური პერსონალის
თანამდებობრივი სარგო

1. **„ბ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -**

ა) პროფესორი - თვეში 1460 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1190 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 930 ლარი.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - **პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, **ასოცირებული პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, **ასისტენტ-პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც შეიძლება დაგროვებული იქნას შემდეგი კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით:

ბ.ა) პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო

ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) – **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

ზ.გ) ასისტენტ-პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

3. **,,ა" კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -**

ა) პროფესორი - თვეში 1620 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1330 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1050 ლარი.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - **პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, **ასოცირებული პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი, **ასისტენტ-პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 10 საათი;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასოცირებული პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.გ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

დანართი №3

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. **„ბ“ კატეგორიის** აფილირებული **აკადემიური პერსონალ**ის თანამდებობრივი სარგო -

ა) პროფესორი - თვეში 2300 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1800 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1200 ლარი.

„ბ“ კატეგორიის არააფილირებული **აკადემიური პერსონალ**ის თანამდებობრივი სარგო -

ა) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1600 ლარი;
ბ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 960 ლარი.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - **პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, **ასოცირებული პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, **ასისტენტ- პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც შეიძლება დაგროვებული იქნას შემდეგი კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით:

ბ.ა) პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) – **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

3. **„ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალი**ს თანამდებობრივი სარგო -

ა) პროფესორი - თვეში 4000 ლარი;

ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 3200 ლარი;

გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 2300 ლარი.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური

სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო დატვირთვა - **პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 16 საათი - 8 სააუდიტორიო (პედაგოგიური), 8 - საკონსულტაციო, **ასოცირებული პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 22 საათი - 10 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 12 - საკონსულტაციო, **ასისტენტ-პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 24 საათი - 12 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 12 - საკონსულტაციო;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასოცირებული პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.გ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

5. წინამდებარე დანართის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პერსონალს შრომითსამართლებრივი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მხოლოდ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

6. წინამდებარე დანართის მე-5 პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისს წარმოადგენს და ამ პუნქტით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში და შემდეგი სახით:

ა) შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის განხორციელება;

ბ) არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა;

გ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ საქმიანობაში მონაწილეობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

დ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებული, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის ანაზღაურებადი სახით წაკითხვის თაობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის,

შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

ე) შესაბამისი ანაზღაურებით განათლების ავტორიზაციისა ან/და აკრედიტაციის ან/და სხვა პროფილური მიმართულების ექსპერტის თანამდებობაზე საქმიანობა (ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი).

N 1907/10
15/02/2021

1907-10-3-202102151552

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 9 თებერვლის №17/2021 დადგენილებას.

დანართი: 12 გვერდი.

პატივსცემით,

გიორგი შარვაშიძე



რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროექტი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 3 დეკემბრის N8 ოქმით დამტკიცებულ სოციალურ და პოლიტიკურ მენციერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შესახებ:

1. დებულების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,3. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით დამხმარე სტრუქტურული ერთეულისთვის გათვალისწინებული საშტატო თანამდებობათა დასახელებებია: სამსახურის უფროსი, სამსახურის უფროსის მოადგილე (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), მთავარი სპეციალისტი (I კატეგორია), მთავარი სპეციალისტი (II კატეგორია), წამყვანი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, სპეციალისტი .“

ცვლილება დამტკიცებულია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 4 თებერვლის სხდომაზე (ოქმი #1).

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW -
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

N 2763/30
23/02/2021

2763-30-3-202102231555

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს

ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის

თამარ დოლბაიას

მ ი მ ა რ თ ვ ა

ბატონო ვლადიმერ,

გთხოვთ წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად გაიტანოთ საკითხი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 3 დეკემბრის N8 ოქმით დამტკიცებული სოციალურ და პოლიტიკურ მენციერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შესახებ:

1. დებულების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,3. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით დამხმარე სტრუქტურული ერთეულისთვის გათვალისწინებული საშტატო თანამდებობათა დასახელებებია: სამსახურის უფროსი, სამსახურის უფროსის მოადგილე (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), მთავარი სპეციალისტი (I კატეგორია), მთავარი სპეციალისტი (II კატეგორია), წამყვანი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, სპეციალისტი .“

პატივისცემით

თამარ დოლბაია

დეკანი
ადმინისტრაცია

ილია ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 229 05 94 Tel.
ფაქსი: +(995 32) 229 05 94 Fax
ელფოსტა: social@tsu.ge; E-mail

ამონაწერი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 4 თებერვლის სხდომის ოქმი # 1- დან

სხდომა ჩატარდა „ზუმ“ პლატფორმის მეშვეობით.

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 34 წევრიდან - 20.

დღის წესრიგი:

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 3 დეკემბრის N8 ოქმით დამტკიცებულ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შესახებ

მომხს: თ. დოლბაია

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის საჭოს დებულებაში ცვლილების აუცილებლობის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, რ. ჯორბენაძემ, თ. მატარაძემ და სხვ.

დაამტკიცეს : შევიდეს ცვლილება ფაკულტეტის დებულებაში და დებულების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,3. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით დამხმარე სტრუქტურული ერთეულისთვის გათვალისწინებული საშტატო თანამდებობათა დასახელებებია: სამსახურის უფროსი, სამსახურის უფროსის მოადგილე (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), მთავარი სპეციალისტი (I კატეგორია), მთავარი სპეციალისტი (II კატეგორია), წამყვანი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, სპეციალისტი .“

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: მ. შამილიშვილი, პროფესორი